ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 5 აგვისტო, 2013 | №183 (6184) | ფასი: 30 თეთრი

30 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
რაინდები და ციხე-კოშკები
ფასი გაზეთთან ერთად
10 ლარი

„რუსებმა ივანიშვილს დაუბარეს, სააკაშვილი დაიჭირე და დაგელაპარაკებითო“

გვ.5

დიმიტრი მედვედევის განცხადებებმა ნაციონალები აღაშფოთა

ნანა კაკაბაძე: „ბაჩო ახალაია ხელისუფლებას გაურიგდა“

გვ.3

ვინ აღიარა ნაციონალები მთავარ ოპოზიციურ ძალად საქართველოში

გვ.6

დემურ გიორგელიძე: „ეკონომიკასაც ოქტომბრის ბოლოს ეშველება“



გვ.2

დიმიტრი მედვედევი: „სააკაშვილმა ქვეყნის გაერთიანების იმედი საკუთარი ხელით დაასამარა“

გვ.4

ელიზბარ ჯაველიძე: „რესპუბლიკელები ნაციონალებისგან არაფრით განსხვავდებიან“

ირაკლი ალასანია: „რუსეთს სამხრეთით სტაბილური მეზობელი სჭირდება — გაერთიანებული და სანდო საქართველო“

გვ.2

ჯემალ გამახარია: „აფხაზეთის მთავრობაში ცვლილებები აუცილებლად მოხდება“

გვ.5

25 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
„მგლის ბილიკი“
6 ლარი

ISSN 1987-9385

2 მამუკა არეშიძე: „მედვედევი ცდილობს, პასუხს გაუსლტეს, ვინ დაიწყო სინამდვილეში ომი“

7 „თუ გენერალ კალანდაძეს ამართლებთ, მე რა დავაშავე?!“ რას ითხოვს დავით ნემსაძე თავდაცვის სამინისტროსგან

4 პროკურატურა ლევან კორტავას საქმეზე სხვა მაღალჩინოსნების დაკავებას არ გამორიცხავს

2 ილია II: „სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საპატრიარქოსთან ახალგაზრდული ცენტრი უნდა ჩამოყალიბდეს“

ირაკლი ალასანია: „რუსეთს სამხრეთით სტაბილური მეზობელი სჭირდება – გაერთიანებული და სანდო საქართველო“

საინფორმაციო და ანალიტიკური პორტალი „ევრაზიანეტი“ აქვეყნებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას ინტერვიუს, რომელიც ცნობილმა ჟურნალისტმა ჯოშუა კუცერამ ჩაიწერა.

ინტერვიუს ქართულ თარგმანს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს და მას „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

„როგორ შეძლებს საქართველო რუსეთთან ურთიერთობები გააუმჯობესოს და ამავდროულად გააგრძელოს სვლა ნატოს წევრობისკენ? – ეს არის ფუნდამენტალური კითხვა საქართველოს ახალი მთავრობის წინაშე, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისას ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი სტრატეგიული მიზანი დაისახა. თუმცა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მიიჩნევს, რომ ეს ორი მიზანი ერთმანეთთან უფრო მეტად შეთავსებადია, ვიდრე ურთიერთგამომრიცხავი. ამ და საქართველოს წინაშე მდგარ უსაფრთხოების სფეროში არსებულ კიდევ სხვა საკითხებზე ირაკლი ალასანიას თბილისში გავესაუბრე.

ალასანიას განცხადებით, ახალი მთავრობა, პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, ნატოსთვის უფრო სასურველი პარტნიორია: „პირველი, ჩვენ პოლიტიკურად უფრო მომწიფებულები ვართ და არ ვაპირებთ სამხედრო კონფრონტაციაში გავებათ. მეორე, სამინისტროში დაიწყო მთელი რიგი შიდა რეფორმების განხორციელება, რათა უწყების საქმიანობა კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს – ტარდება ღია ტენდერები და იზრდება საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლი. მესამე, ჩვენ ვცდილობთ ეტაპობრივად დავარეგულიროთ ურთიერთობები რუსეთთან. ეს კი მოგვცემს საშუალებას ურთიერთობების აღდგენა დავიწყოთ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ეს მნიშვნელოვანი საკითხია – აფხაზებმა და ოსებმა იფიქრონ, რომ მათთვის უმჯობესია საქართველოსთან ერთად ევროპის ნაწილი გახდნენ, ვიდრე რუსეთის ოკუპაციაში დარჩნენ. ჩემი აზრით, საქართველოს მზადყოფნის შეფასებისას მოკავშირეები ამ ფაქტორებს დიდ ყურადღებას მიაქცევენ.“

მიუხედავად ამ ყველაფრისა, თავდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ხანგრძლივი პროცესია. „ვაჭრობისა და კულტურის სფეროში ჩვენი ურთიერთობა გაუმჯობესებისკენ მიდის. მე იმედი მაქვს, რომ ეს შემდგომში პოლიტიკურ დიალოგში გადაიზრდება. ამ ეტაპზე არანაირი ნიშანი არ არის, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან ან საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით რუსეთმა პოზიცია შეიცვალა. ეს შეიცვლება, თუმცა ამას დრო სჭირდება. არ გვაქვს ილუზია, რომ ყველაფერი მომავალი ათწლეულის განმავლობაში შეიცვლება. ჩვენ უნდა დაველოდოთ და მათზე ჭკვიანურად ვიმოქმედოთ. საჭიროა მოთმინება გამოვიჩინოთ და მოვემზადოთ. მომზადება ნიშნავს დაველოდოთ ისტორიულ შანსს, როდის გაიღება ეს ფანჯარა,

როგორც ეს ბალტიისპირეთის შემთხვევაში მოხდა.“ მინისტრი დარწმუნებულია, რომ მომავალ წელს საქართველო ნატოსთან ურთიერთობაში კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს, თუმცა, თუ რა ფორმით მოხდება ეს, არ დაუკონკრეტებია.

მინისტრის თქმით, ძლიერი საქართველო რუსეთის ინტერესებშია. „გრძელვადიან პერსპექტივაში, რუსეთს სამხრეთით სტაბილური მეზობელი სჭირდება – გაერთიანებული და სანდო საქართველო. ამას შესაძლოა ხუთი, შვიდი, ათი ან თხუტმეტი წელი დასჭირდეს... ჩვენზე ბევრია დამოკიდებული, თუმცა არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ“.

ხალხის უმეტესობა თბილისში შეშფოთებულია ნატოს კრიტიკით საქართველოს ახალი მთავრობის მიმართ, რომელიც ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებით გამოითქვა. მათი მტკიცებით, ალიანსი უფრო კრიტიკულია ახალი ხელისუფლებისადმი, ვიდრე სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ. მაგრამ ალასანია მიესალმება ამ კრიტიკას. „მე მომწონს, როდესაც გვაკრიტიკებენ. ეს ჩვენ გვაიძულებს უფრო ფხიზლად და ფრთხილად ვიმოქმედოთ. ეს ნიშნავს, რომ ისინი ჩვენზე ფიქრობენ, ჩვენი პარტნიორები და მეგობრები არიან და სწორედ ამიტომაც გვაკრიტიკებენ, რომ სურთ უფრო მეტ წარმატებას მივაღწიოთ. ჩვენ გვმართებს მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ მათ, თუ რა ხდება სასამართლო სისტემის რეფორმირების კუთხით“.

სამხედრო სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს მთავარ უცხოელ პარტნიორებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, ალასანიამ ოთხი ქვეყანა გამოარჩია: თურქეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი და ისრაელი. „დროა აზერბაიჯანთან და თურქეთთან სამხედრო ინდუსტრიის კუთხით სამმხრივი თანამშრომლობის ფორმატი შეიქმნას“. საქართველო სამხედრო მრეწველობის სფეროში აზერბაიჯანის გამოცდილების გაზიარებასაც გეგმავს. „ეს ჩვენთვის ძალიან საინტერესოა... ამ ეტაპზე თანამშრომლობა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით შემოიფარგლება. თუმცა, ვფიქრობ დროთა განმავლობაში ერთად საინტერესო საკითხებზე მოგვიწევს მუშაობა. საქართველო და აზერბაიჯანი მსგავსი სახის საფრთხეების წინაშე დგანან. პრიორიტეტებიც ერთნაირია – ჩვენი უნდა დავიცვათ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოება, ჩვენ უნდა დავიცვათ მიმდინარე სტრატეგიული პროექტების უსაფრთხოება. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა ერთობლივი რეგიონალური პროექტების უსაფრთხოებას დადებით შედეგს მოუტანს“.

ირაკლი ალასანიას თქმით, ესტონეთისა და თურქეთის სამხედრო საწარმოებთან „დელტა“ ერთობლივი პროექტების განხორციელების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებს. „მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს ესტონელ პარტნიორებთან. ვაპირებთ თანამშრომლობის გაღრმავებას ისარელთანაც“. რუსეთი ტრადიციულად მთავარ ფაქტორს წარმოადგენს საქართველო-ისრაელის თავდაცვის ურთიერთობებში. კითხვაზე, თუ რატომ არ ბლოკავს რუსეთი ისრაელთან მჭიდრო კავშირებს, მინისტრს ინფორმაცია არ აქვს მათი კომუნიკაციის შესახებ.

რაც შეეხება აშშ-სთან თანამშრომლობას, რომელიც საქართველოსთვის იარაღის მიწოდების თვალსაზრისით ყველაზე სასურველი პარტნიორია, ირაკლი ალასანიამ უარყო მოლაპარაკებების წარმოება მძიმე შეიარაღების გადმოცემის თაობაზე. „ამერიკასთან ძირითადად წვრთნისა და განათლების სფეროში ვთანამშრომლობთ. ამის გარდა, ქართველი და ამერიკელი სამხედროები ერთმანეთის მხარდამხარ იბრძვიან ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, რომელიც ქართველ სამხედროებს მნიშვნელოვან გამოცდილებას აძლევს. ჩვენ შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს ამერიკელ საზღვაო ქვეითებთან, რაც ავითარებს ჩვენ შესაძლებლობებს“.

ირაკლი ალასანია ვაშინგტონში მომავალ ვიზიტსაც შეეხო, რომლის ფარგლებშიც მინისტრი კოლეგასთან ჩაკ ჰეგელთან გეგმავს შეხვედრას. „რაც შეეხება სპეციფიურ აღჭურვილობას, არსებობს ობამა-სააკაშილის შეთანხმება გაფართოებული სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, სამხედრო ძალის სატრანსპორტო საშუალებები, ვერტმფრენების პარკი. ეს შეთანხმება ძალაშია და წინ მიდის. ამ ეტაპზე სხვა აღჭურვილობის შეძენას არ ვფიქრობთ“. კითხვაზე თუ რა სახისა და რაოდენობის ვერტმფრენების შესყიდვაზეა საუბარია, მინისტრმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა. „ჩვენ ამ თემაზე ვმუშაობთ“. მისი თქმით, სავარაუდოდ დახმარება მოხდება თავდაცვის ჭარბი საშუალებებისა და საგარეო სამხედრო დაფინანსების პროგრამების ფარგლებში. „იმედი მაქვს, ჰეგელთან შეხვედრისას უფრო მეტი რამ გახდება ნათელი“.

მედიანიუსი

ილია II: „სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საპატრიარქოსთან ახალგაზრდული ცენტრი უნდა ჩამოყალიბდეს“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია II განცხადებით, „სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საპატრიარქოსთან ახალგაზრდული ცენტრი უნდა ჩამოყალიბდეს“.

ამის შესახებ პატრიარქმა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ განაცხადა. ამასთან, უწმინდესმა ადამიანის გასაძლიერებლად სხვადასხვა საშუალებებზე ისაუბრა.

„რა საშუალება არის ადამიანის გაძლიერებისა – უპირველეს ყოვლისა, ღვთის მადლი, მადლი სულისა წმინდისა, რომელიც არის უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი. ამასთან ერთად არსებობს ბუნებრივი საშუალებები – ეს არის ჩვენი ბუნება, ჩვენი მიწა, სამყარო, მცენარეები, ხეები“, – განაცხადა პატრიარქმა.

პირველი

დიმიტრი მედვედევი: „სააკაშვილმა ქვეყნის გაერთიანების იმედი საკუთარი ხელით დაასამარა“

რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, „საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყნის გაერთიანების იმედი საკუთარი ხელით დაასაფლავა“. ამის შესახებ მედვედევმა „რუსსია თუდაი“-სთან ინტერვიუში განაცხადა.

„ადამიანები, რომლებიც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ცხოვრობენ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომლებმაც თავიანთი გადაწყვეტილება ჯერ კიდევ 1990-იანწლებში, პარლამენტის მეშვეობით მიიღეს. თუმცა ჩვენ ჩარევას დიდი ხნის მანძილზე მიზანშეწონილად არ ვთვლიდით, რადგან კიდევ გვქონდა იმედი, რომ საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფოს გაერთიანებას შეძლებდა. თუმცა სამწუხაროდ, რაშიც გამოიხატება სააკაშვილის დანაშაული ერების, ქართველი ხალხის მომავალი თაობის წინაშე ეს არის, რომ მან აი, ასეთი ადრინდელი სახელმწიფოს კუბოს ლურსმანი დააჭედა და ეს იმედი საკუთარი ხელით დაასამარა. რა თქმა უნდა, ეს არის ყველაზე სამწუხარო“, – განაცხადა მედვედევმა.

პირველი

გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბს დავით საგანელიძე უხელმძღვანელებს

„ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო შტაბს დავით საგანელიძე უხელმძღვანელებს. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირინე იმერლიშვილმა განაცხადა.

„ცხადია, მიდის ამაზე საუბარი, რომ დავით საგანელიძე იყოს კოალიციური შტაბის ხელმძღვანელი, ისევე, როგორც გახლდათ იგი საპარლამენტო არჩევნებისას, როდესაც კოალიციამ გაიმარჯვა არჩევნებში. ასევე, დღეს გვქონდა პოლიტსაბჭო, ბოლო რამდენიმე დღეა, რაც ქუთაისიდან დავბრუნდით, პრაქტიკულად ყოველდღე გვაქვს პოლიტსაბჭოს რეჟიმში შეხვედრები. პარალელურად შტაბების ფორმირება მიმდინარეობს“, – განაცხადა იმერლიშვილმა.

პირველი

მამუკა არეშიძე: „მედვედევი ცდილობს, პასუხს გაუსხლტეს, ვინ დაიწყო სინამდვილეში ომი“

კავკასიის საკითხებში ექსპერტის მამუკა არეშიძის შეფასებით, „რუსეთის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი ცდილობს, პასუხს გაუსხლტეს, ვინ დაიწყო სინამდვილეში ომი“. ამის შესახებ არეშიძემ „რუსთავი 2“-თან საუბრისას, რუსეთის პრემიერ-მინისტრის ინტერვიუს კომენტირებისას განაცხადა.

„ომი რუსეთის მიერ არის დაწყებული, მაგრამ კონკრეტული ბრძოლა ზუსტად საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისგან არის პროვოცირებული და ეს პროვოცირება მოხდა ისე, რომ შესაბამისად მომზადებული არ ყოფილა საქართველოს ჯარი ამისთვის და არც ხალხი, საზოგადოება. მედვედევის შეფასებაში არის ერთგვარი თვალთმაქცობა. ივანიშვილმა სააკაშვილს პროვოცირებაში დასდო ბრალი, რაც მართალია, მაგრამ ვიმეორებ, ომის დაწყებასთან დაკავშირებით მედვედევი ცდილობს, რომ პასუხს გაუსხლტეს, ვინ დაიწყო სინამდვილეში ომი“, – განაცხადა არეშიძემ.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, „რუსეთმა შესაძლოა, საქართველოსთან ურთიერთობა აღადგინოს იმ პირობით, თუ ქართული მხარე 2008 წელს მომხდარ ფაქტს აღიარებს“.

„შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციას საქართველოსთან ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ჩვენ მზად ვართ, ურთიერთობა გარკვეული პირობის სანაცვლოდ აღვადგინოთ, ეს პირობა კი მარტივია – იმ ფაქტის აღიარება, რაც მოხდა“, – განაცხადა მედვედევმა „ღუსსია თოდაყ“-სთან ინტერვიუში.

ამასთან, მისივე მტკიცებით, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრალია.

„ბოლო წლებში ჩვენს ურთიერთობებში ყველაზე სევდიანი ფურცელი გადაიშლება და წავა, პოლიტიკური არენიდან სააკაშვილის და ზოგიერთი იმ ადამიანის წასვლასთან ერთად, რომლებიც ამ დანაშაულებრივ გადაწყვეტილებაში დამნაშავე არიან“, – განაცხადა მედვედევმა.

მისივე თქმით, საქართველოს ახალი ხელისუფლება რუსეთთან მართებაში გაცილებით ლოიალურია.

პირველი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

პროფკავშირები რკინიგზას ვერ იყოფენ

შორენა კოწოწაშვილი

„საქართველოს რკინიგზის“ ირგვლივ ხმაური გრძელდება, რაც რკინიგზის შიგნით ჯერ პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელის არჩევნებმა განაპირობა, ხოლო შემდეგ კი – ალტერნატიული პროფკავშირის შექმნამ.

ის, თუ რა არის პროფკავშირებში დაპირისპირების მიზეზი, მარტივია: სოლიდური თანხები, რომელსაც რკინიგზელები პროფკავშირში რიცხავენ, აქ აკუმულირებული ასობით ათასი ლარი კი როგორ და სად იხარჯება, თავად რკინიგზელებისთვისაც უცნობია. ისინი ამბობენ, რომ ვიღაცებმა ამ ფულით ბინები და აგარაკები შეიძინეს.

რა დარღვევები იკვეთება პროფკავშირების საქმიანობაში და რატომ არ ჩაურიცხავს პროფკავშირების გაერთიანებას რკინიგზა 60-70 ათას ლარს? – ამ საკითხების ირგვლივ გვესაუბრება თენგიზ სანიკიძე – საქართველოს რკინიგზის ადმინისტრაციის წარმომადგენელი და რკინიგზელთა პროფესიული კავშირის გამგეობის წევრი.

– პატონო თენგიზ, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებაში აცხადებენ, რომ ჰამლეტ ლომიძეს საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის არჩევნებში გამარჯვებაში ადმინისტრაცია ეხმარებოდა. ეს მართალია?

– მე პირიქით ვიტყოდი, ყრილობის მუშაობაში ყველაზე აქტიური მხარე საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი და მისი მოადგილეები იყვნენ და გიორგაძეს ეხმარებოდნენ გამარჯვებაში. არც ის მომხდარა შემთხვევით, რომ პეტრიაშვილმა სამჯერ ითხოვა სიტყვა და შეეცადა, ყრილობის დელეგატები დაერწმუნებინა, რომ ლომიძე რკინიგზელთა პროფკავშირების გახლეჩას ცდილობდა. რაც შეეხება რკინიგზის ადმინისტრაციას, ის საერთოდ არ ჩარეულა ყრილობის საქმიანობაში, თუმცა გულგრილი არ დარჩენილა ყრილობის გადაწყვეტილებების მიმართ, რადგან რკინიგზელთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა ორივე ჩვენგანის პირდაპირი მოვალეობაა. გასაკვირია, ასე აქტიურად რატომ უჭერდა მხარს პეტრიაშვილი ვინმე გიორგაძეს და გაერთიანებამ რატომ შეაქმნევინა მას რკინიგზაში ალტერნატიული პროფკავშირი. თუმცა რკინიგზელებმა საკუთარი პროფკავშირის ლიდერობა მაინც ჰამლეტ ლომსაძეს მიანდეს, რომელიც „საპატიო რკინიგზელი“ იყო, შემდეგ კი რკინიგზის ტრანსპორტის საერთაშორისო კონფედერაციისა და საბჭოს წევრი გახდა. ნებისმიერ დროს შეეძლო, საკუთარი პროფესიით ემუშავა, თუმცა რკინიგზელთა პროფკავშირების მიმართ რკინიგზის ყოფილი ხელმძღვანელობის გაუაზრებელმა პოლიტიკამ ის და მისი გუნდი იძულებული გახადა, შებრძოლებოდნენ მათ დასაშლელად მიმართულ მზაკვრულ ზრახვებს. სხვათა შორის, იმჟამინდელი პრესა ძალიან აქტიურად აშუქებდა ამ მოვლენებს.

– გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრია აცხადებს, რომ საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირი საწარმოს ადმინისტრაციის „მაღალი რანგის ჩინოვნიკების“ მიერ მართული „ყვითელი“ ან „ყალბი“ პროფკავშირია. ამაზე რას იტყვით?

– სხვათა შორის, გოჩა ალექსანდრიას რატომღაც „დაავიწყდა“, განემარტა ყრილობის დელეგატთათვის, თუ რატომ იღებდა 5 წლის განმავლობაში რკინიგზელთა საწევრო ანარიცხებიდან ყოველთვიურად გარკვეულ

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ნანა კაკაბაძე: „ბაჩო ახალაია ხელისუფლებას გაურიგდა“

ვინ აღიარა ნაციონალები მთავარ ოპოზიციურ ძალად საქართველოში

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ უფლებათადამცველ ნანა კაკაბაძესთან

– ქალბატონო ნანა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? სასამართლო ბაჩო ახალაიას ამართლებს, პრეზიდენტი გუნავას იწყალებს და თანამდებობას უბრუნებს, რა ხდება, რასთან გვაქვს საქმე?

– ყოველ შემთხვევაში, პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს, ქვეყნისთვის რომ სასიკეთო არ არის, ეს ფაქტია. ზუსტი დასკვნა, რა ხდება და რატომ მიდის ეს პროცესები, გამიჭირდება, იმიტომ რომ საკმაოდ ურთიერთგამომრიცხავი რაღაცები ხდება. თავიდათავი ამ ყველაფრისა, ამ უბედურებისა, რაც დღეს ქვეყანაში ტრიალებს, არის ის, რომ ქვეყანაში არის ორხელისუფლებიანობა და ეს არ არის ოპოზიცია. პირადად მე ამას ძალიან დიდი ხანია ვამბობ, რომ ქვეყანაში არის ორხელისუფლებიანობა და ამას ბოლო უნდა მოეღოს, მაგრამ ამისკენ ხელისუფლებამ ნაბიჯები არ გადადგა.

– რა ნაბიჯები უნდა გადაედგა?

– გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ის, რომ შეფასებულიყო ნაციონალური მოძრაობის 9-წლიანი პერიოდი, შემუშავებულიყო კანონმდებლობა, როგორ უნდა მომხდარიყო ამ პოლიტიკური ძალის ჩამოშორება პოლიტიკიდან და, შესაბამისად, დასჯა იმ ადამიანებისა, ვინც დანაშაული ჩაიდინა ამ პერიოდში და, რაც მთავარია, უნდა შექმნილიყო კომისია პარლამენტში, რომელიც დადებდა მტკიცებულებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული, მაგრამ ეს არ გაკეთდა. დღეს თინა ხიდაშელის კომენტარი მოვისმინე, რომ ვინც დღეს ჩვენ გვეტყვის, რომ ეს ადამიანები უნდა ჩამოვაშოროთ პოლიტიკას, უნდა გავათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან, ეს დანაშაულიაო. მაშინ აიღონ პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ქვეყანა მოექცევა სრულ იზოლაციაშიო. გეთანხმებით, თუ ახლა უპირობოდ ვიტყვით, რომ მოდით ესენი ჩამოშორდნენ პოლიტიკას და თანამდებობას, მოხვდებით სრულ იზოლაციაში, მაგრამ, თუ შეიქმნებოდა საპარლამენტო კომისია, რომელიც გამოიძიებდა სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ადამიანების რაოდენობას და დადებდა დასკვნას, ჰქონდა თუ არა მას სისტემური პოლიტიკური დევნის ხასიათი. ასევე ქვეყნიდან გაქცეული ადამიანებისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მსურველთა რაოდენობას დაადგენდა. ასევე უკვე დადო პარლამენტმა პოლიტპატიმართა რაოდენობა, წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევები ციხეებში. დღეს არ არსებობს მექანიზმი, რომ დაიდოს მტკიცებულებები ამ ადამიანების წამებებისა, იმიტომ რომ არ არის ბიუჯეტი, რომელიც შეამოწმებს ამ ადამიანებს და იტყვის, რომ ისინი არიან წამების მსხვერპლი. ამ ადამიანებს ამისი არანაირი ფინანსური საშუალებები არ გააჩნიათ, ყველანაირად გააუბედურეს ეს ხალხი და სახელმწიფო არ აკეთებს არაფერს იმისთვის, რომ გაიღოს თანხები, თუნდაც მოიწვიოს საერთაშორისო ექსპერტები და ნახოს, როგორ არიან ეს ადამიანები ნაწამები და დადოს ამაზე საექსპერტო დასკვნები. ეს არის აუცილებლად გასაკეთებელი. თუ ეს ყველაფერი გაკეთდება და თან აგერ 17 ათასი ფაილი ნაპოვნია თვალთვალისა და მიყურადების, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და რა უნდა იმის დადასტურებას, რომ ეს იყო სისტემური დანაშაულები, რომ ეს იყო სისტემა, რომელიც აი ამ ყველაფერს, ამ უბედურებას უზრუნველყოფდა.

– ამ მტკიცებულებებს მიიღებს დასავლეთი?

– თუ ამას დაუდებ მსოფლიოს მტკიცებულების სახით, რა თქმა უნდა, ის ხმას ვეღარ ამოიღებს, მაგრამ, შენ თუ არაფერს არ გააკეთებ იმისათვის, რომ დაასაბუთო, ის იყო სისტემური დანაშაული, ბუნებრივია, გეტყვიან, პოლიტიკური დევნა არისო, მით უმეტეს იმ პერიოდში, როდესაც იცი, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს დაინტერესებული ჯგუფები დასავლეთშიც და ისინი სერიოზული მტკიცებულებების შემთხვევაშიც შეეცდებიან, რაღაც თქვან. შენ თუ ამას არ გააკეთებ, ბუნებრივია, ამას იტყვიან. ჩვენ დიდი ხანია ვითხოვთ, რომ შეიქმნას საპარლამენტო კომისია და დაიწყოს ამ საკითხებზე მუშაობა. ციხეებიდან გათავისუფლებულ ადამიანთა ნახევარზე მეტი პირველი ჯგუფის ინვალიდია. დაინვალიდებული ჰყავთ ადამიანები. ინვალიდის სავარძლებშია ეს ხალხი მოთავსებული, ან ხელ-ფეხი აქვს დაჩეხილი და ძვლები აქვთ გამოსაცვლელი, მხედველობა აქვთ დაკარგული, სმენა აქვთ დაკარგული. რამდენი ერთი ჩამოვთვალო, უამრავი დაზიანებები აქვთ მიყენებული, რომლებმაც ეს ადამიანები აქცია პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებად ციხეებში. როდესაც ამნისტია გამოვიდა და გაუშვეს ეს ხალხი, ბუნებრივია, ხელისუფლებას უნდა ჰქონოდა ინტერესი, რომ ყველა ამ ადამიანის მონაცემები ჰქონოდა, რომ შემდგომში, როდესაც ეს კომისია შეიქმნებოდა და როდესაც ექსპერტიზები ჩატარდებოდა, ამ ადამიანებსაც ჩასტარებოდათ ექსპერტიზა. ეს ყველაფერი პრობლემა არ არის, მთავარია პოლიტიკური ნება, რომ ხელისუფლებამ დაიწყოს ამ მიმართულებით საქმიანობა. ჯერ მარტო ციხეში დარჩენილი ადამიანებიც საკმარისია იმისათვის, რათა დადგინდეს, რომ ეს იყო სისტემური დანაშაული, შემდეგ გამოინახოს ბიუჯეტში თანხები, რომლის საშუალებითაც შეამოწმებენ ამ პატიმრებს, რა ჯანმრთელობით შევიდნენ ისინი ციხეში და რა დაზიანებები აღენიშნებათ ახლა. რამდენი ადამიანი იყო გადაყვანილი საავადმყოფოში, აი, ეს ყველაფერი უნდა დაიდოს მტკიცებულებების სახით და უნდა ითქვას, რომ ეს არის სისტემური დანაშაული, ეს არის რეჟიმი, რომელმაც ეს სისტემური დანაშაულები შექმნა ქვეყანაში. ამის მერე, რა თქმა უნდა, ვერავინ ამოიღებს ხმას, რომ ეს იყო პოლიტიკური ნიშნით დევნა, თუმცა ეს არ გაკეთდა.

– ამის ნაცვლად რა გაკეთდა?

– გაკეთდა ის, რომ ეს კრიმინალური ძალა, რომელსაც წარსულში ჰქონდა მონოპოლიზებული ძალაუფლება და ითვლებოდა პოლიტიკურ კრიმინალურ ძალად, დღევანდელი ხელისუფლება მას უნარჩუნებს პოლიტიკური ძალის და უფრო მეტიც, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი პოლიტიკური ოპოზიციის ნიშას აკავებინებს და არა ის, რასაც ჩვენ ვიძახით, რომ შეფასება მოხდეს, შესწავლა მოხდეს ამისი და დაიდოს ვინ იყო ეს. ყველა დანარჩენი პრობლემა, რომელიც დღეს ქვეყანაშია, დაწყებული ეკონომიური მდგომარეობიდან, უმუშევრობიდან და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, არის ბმაში ამ პრობლემასთან. იმიტომ რომ ამ სისტემამ შექმნა ბიზნესის მონოპოლია. ყველაფრის მონოპოლია ჰქონდა შექმნილი სააკაშვილის ხელისუფლებას და დღეს, როდესაც ეს ბიზნესი ისევ ამ კლანის ხელშია და ისევ ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ხელშია, ბუნებრივია, ისინი ხელოვნურადაც ბლოკავენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ბიზნესიც, რა თქმა უნდა, გაჩერებულია და მიდის გაუთავებელი ვარდნა ანუ ხალხი აღმოჩნდა კიდევ უფრო რთულ ეკონომიურ მდგომარეობაში, ვიდრე იყვნენ ამ ჯალათური რეჟიმის დროს. თუ ნაბიჯები არ გადაიდგა და არ ჩამოშორდნენ ესენი ამ პოლიტიკას, ჩვენ კატასტროფის წინაშე დავდგებით. ეს არის გარდაუვალი დღეს, რომ ეს უნდა გაკეთდეს. თუე ს არ გაკეთდა, ე.ი. ამ ხელისუფლებას არა აქვს სურვილი, არამცთუ ქვეყანა გამოიყვანოს მდგომარეობიდან, არამედ, პირიქით, მას აქვს სურვილი, რომ ნაციონალური მოძრაობა ტყავგამოცვლილი დააბრუნოს ხელისუფლებაში. შეიძლება, სააკაშვილი ვეღარასოდეს დაბრუნდეს ხელისუფლებაში, მაგრამ დანარჩენები, ის, ვინც არიან დღეს პოლიტიკაში გაბნეულნი და გამოდიან და კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატობაზე აქვთ პრეტენზია და სხვადასხვა პროცესში მონაწილეობენ, ესენი დარჩებიან პოლიტიკაში და ეს იქნება უბედურება ქვეყნისთვის. გუნავასთან დაკავშირებით რაც მოხდა, არის თუ არა ეს იმის მტკიცებულება, რომ ამ ქვეყანაში არის ორხელისუფლებიანობა.

– თუმცა ამას არც ერთი მხარე არ აღიარებს...

– რეალობა ასეთია. თუნდაც გუნავასთან დაკავშირებით, გამოძიება ჩატარდა, პროკურატურამ ბრალი წაუყენა, სასამართლო პროცესები ჩატარდა, ბრალი დადასტურდა. მიუსაჯეს ამ ადამიანს იმ სასამართლოში, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა მართავს და მეორე დღეს სააკაშვილი დგება, უშვებს ციხიდან და იმ თანამდებობას უბრუნებს ანუ სააკაშვილმა ბოროტად გამოიყენა მისი უფლებამოსილება. ბუნებრივია, კონსტიტუცია ვერ გაითვალისწინებდა იმას, რომ ქვეყანაში იქნებოდა ხალხის ოპოზიციაში მყოფი პრეზიდენტი და მას შეეძლო, ასეთი დანაშაულებრივი გადაწყვეტილება მიეღო. მას შეიძლება ეს კონსტიტუციური უფლება ჰქონდა, მაგრამ ბოროტად გამოიყენა იმისთვის, რომ იგნორირება გაუკეთა სასამართლოს გადაწყვეტილებას, იგნორირება გაუკეთა პროკურატურას და ყველაფერს იმას, რაც სამართალთან იყო დაკავშირებული. რა არის ეს? არის თუ არა ეს დანაშაულებრივი გადაწყვეტილება?! და არის თუ არა ეს ორხელისუფლებიანობა დღეს ქვეყანაში?! და ვისი ბრალია ეს? სააკაშვილის? არა სააკაშვილის ბრალი არ არის ეს! ეს არის დღევანდელი ხელისუფლების ბრალი, რომელიც თავისი უნიათობით თუ სხვა მოტივებით, არ დგამს იმ კონკრეტულ ნაბიჯებს, რომელიც არის გადასადგმელი იმისათვის, რომ ქვეყანა გამოვიდეს იმ კრიზისიდან, რა კრიზისშიც შეგვიყვანა ნაციონალურმა მოძრაობამ. პირიქით თავისი უნიათობითა და უმოქმედობით, კიდევ უფრო აღრმავებს კრიზისს დღეს ქვეყანაში. ერთადერთი, რაც მოხდა, რომ რაღაცა დონით დღეს ნაციონალური მოძრაობა ჩააჩოჩეს და გამოკვეთილად მხოლოდ და მხოლოდ სააკაშვილი, დანარჩენი ყველაფერი უცვლელად დარჩა და შემდგომი ნაბიჯები ამისკენ არ გადაიდგა.

– რამდენად არის იმის საფრთხე, რომ იგივე მოხდეს ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის შემთხვევაში, მათაც შეიწყალებს სასამართლო თუ გაამართლებს?

– ასე თუ წავიდა პროცესები, ასეც მოხდება, მაგრამ ამათ გათავისუფლებას რა მოჰყვება შემდგომ, ის არის მთავარი, თორემ გასაგებია, რომ ასეთი პოლიტიკა გაატარეს ამათ. გარეგნულად, იცით, როგორ ჩანს? რომ ბაჩო ახალაიას ეს შეღავათები აქვს იმისათვის, რომ ბაჩო ახალაია, სავარაუდოდ, გაურიგდა ამ წამების ამსახველ კადრებთან დაკავშირებით ხელისუფლებას. ამ 17 ათას კადრს ვგულისხმობ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ახალაიამ გაამხილა ამ ფირების ადგილსამყოფელი?

– სავარაუდოდ, ასეა. ასეთი ელფერი აქვს ამ ყველაფერს, მაგრამ რა გამოვიდა ამ თანამშრომლობით? თუნდაც მან ამ მიმართულებით ითანამშრომლა, რომ დღევანდელ ხელისუფლებას არანაირი ძალა არ ჰქონდა და მის მიერ მიწოდებული ინფორმაციებით იხელმძღვანელა. ამით რა გამოვიდა? დღეს ატყდა მთელი კაკაფონია იმაზე, რომ ეს კადრები უნდა განადგურდეს. მაშინ ვის სჭირდებოდა ამ კადრების ამოღება და ჩვენება? ვის სჭირდებოდა ეს, თუ ამას არ უნდა მიეცეს მსვლელობა, თუ ეს არ უნდა შეფასდეს, თუ ამ ყველაფერზე გამოძიება არ უნდა ჩატარდეს, თუ ამაში მონაწილე თითოეული პირი არ უნდა დაისაჯოს და ამაზე არ უნდა დადგეს განაჩენები, მაშინ ვის სჭირდებოდა, რიცხობრივად გვცოდნოდა, რამდენი გაუპატიურებული მამაკაცია ქვეყანაში? ვის სჭირდებოდა ეს კადრები?! ეს კადრები და ახალაიას თანამშრომლობა მაშინ იქნებოდა ღირებული, თუ შენ ამაზე უფრო დიდ შედეგს დაყენებდი, ვიდრე ბაჩო ახალაიას გათავისუფლებაა. ის, რომ შენ ამის სისტემურობას დაამტკიცებდი და ამისთვის ამ პარტიას აუკრძალავდი პოლიტიკურ მოღვაწეობას. ამისთვის ღირდა ახალაიასთან თანამშრომლობა და შენ გასანადგურებლად თუ ეძებდი ამ კადრებს, მერე ვიღას წაუყენებ ამას ბრალად? მტკიცებულებას სასამართლოში რომ მოგთხოვენ, აბა, მაჩვენე, რა კადრებზე საუბრობ, რაზე მედავებიო, ეს ის არის, ჩვენ რომ გავანადგურეთო, რომ ეტყვი, ეს ბავშვობაც არ არის, ეს არაფერში არ წერია! ვინ იყო, რომ მტკიცებულებას ანადგურებდა, მანამ, სანამ განაჩენი არ არის მასზე დამდგარი. საერთოდ, რა რიტორიკაა, რა პიარია ატეხილი იმაზე, რომ ვაიმე, პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებია და უიმე, უნდა განადგურდეს. ჯერ ერთი, ეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ნახევარ თბილისს ფლეშკებით დააქვს და აქა-იქ კომპიუტერშიც უყურებს საზოგადოება. შენ რომ გაანადგურებ, ღარიბაშვილი რომ ხარ, როგორ სხვას რომ აქვს ეს კადრები, გაქრება თუ რას ნიშნავს ეს?! ამის ასლები, მგონი, ყოველ მეორე ადამიანს აქვს ხელში. ჯერ ერთი, ამით რას უზრუნველყოფ, ვერც ვერაფერს და მეორეც, მთავარი, რისთვისაც ეს კადრები იყო საჭირო, იმისთვის, რომ დამდგარიყო ამათი განაჩენები. რა განაჩენებზეა საუბარი, დანაშაულის კვალს აქრობენ ესენი. აი, ეს არის რეალობა და ამას უნდა შეხედოს საზოგადოებამ თვალებში და დღეს არის ამაზე რეაქცია საჭირო, თორემ მას შემდეგ ახალაია და მერაბიშვილი რომ დაიწყებენ რუსთაველის გამზირზე სეირნობას, ისე, როგორც შაშკინები და კალმახელიძეები დასეირნობენ, მერე გვიანი იქნება ეს. დღეს არის ამაზე რეაქცია საჭირო და პასუხის მოთხოვნა ხელისუფლებისთვის, რომ რას აკეთებს ამ მიმართულებით. არაადეკვატურია დღეს ხელისუფლებაც, არაადეკვატურია მედიასაშუალებებიც, იგივე, რა ამბავიც ბედუკაძეზე ატყდა თუნდაც მედიაში, ეს იყო დანაშაული. დაიწყეს იმაზე მსჯელობა, ბედუკაძე უნდა ყოფილიყო ციხეში თუ არა და ყველა დანარჩენი, ვინც იმ კადრებში ჩანდა, ვინც ამ წამებებში მონაწილეობად, იმათი გვარ-სახელი კაციშვილს არ გახსენებია და ადამიანმა, რომელმაც გახეთქა და გამოიტანა ბომბი და საზოგადოებასა და ხელისუფლებას მისცა საშუალება, ეს აღმოფხვრილიყო და ასეც მოხდა და ხელისუფლებაში მოსულიყო სხვა ძალა, რომელიც, სავარაუდოდ, ამას აღარ ჩაიდენდა, ამ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხს აყენებენ. ვინც ამ ხალხს აწამებდა და ადამიანებს ამ დღეში აგდებდა ამ ადამიანების გვარ-სახელები საზოგადოებას აღარ აინტერესებს. გამაგებინეთ, ეს ადეკვატური საქციელია?! მე ნამდვილად არ მესმის, რა ხდება ამ ქვეყანაში. რაც მთავარია, ხელისუფლება ქმნის დღეს ამ კალაპოტს, რომ აქეთკენ წავიდეს ეს ყველაფერი.

ელიზბარ ჯაველიძე: „რესპუბლიკელები ნაციონალებისგან არაფრით განსხვავდებიან“

„ივანიშვილი ვადამდელი არჩევნების შემდეგ უნდა წავიდეს“

თამარ ნინიძე

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე განათლების სამინისტროში საკადრო ცვლილებას მიესალმება და მიაჩნია, რომ ახალმა მინისტრმა თამარ სანიკიძემ საქმიანობა კარგად დაიწყო. მას მხედველობაში აქვს რესპუბლიკელ დავით ზურაბიშვილის გათავისუფლება მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან. „ახალი თაობა“ ელიზბარ ჯაველიძეს ესაუბრა.



– როგორ შეაფასებთ განათლების სამინისტროში არსებულ პროცესებსა და საკადრო გადაადგილებას?

– მე მგონი, ეს საერთო აზრი იყო და მარგველაშვილმა თავისი შემცვლელი მოადგილე დაასახელა, თამარ სანიკიძე, რომელიც ახალგაზრდაა. პირველი ნაბიჯი, რომელიც მან გადადგა, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია, რადგანაც მან, უპირველესად ყოვლისა, გაათავისუფლა დავით ზურაბიშვილი მოადგილის თანამდებობიდან, რესპუბლიკელი ზურაბიშვილი გახლავთ სულითა და ხორცით ანტიქართველი თავისი მოღვაწეობითა და განცხადებებით. ძალიან კარგად მახსოვს, მან ეროვნული განცდა სახადად გამოაცხადა და ჩვენი თვითმყოფადობისა და ვინაობის ძირითად საფუძველზე მართლმადიდებლობაზეც განაცხადა, ესღა დაგვრჩა და ეს უნდა მოვინელოთო. ამით ლიბერალურ-დემოკრატიულ ზღვაში აღმოვჩნდებოდით.

გარდა ამისა, ზურაბიშვილის ბიოგრაფიას კარგად ვიცნობ, თავისუფლების ინსტიტუტის ჭაობშია აღმოცენებული, ბოკერიები, მინაშვილები, თარგამაძეები – ეს ყველა ის ხალხია, ვინც პრინციპულად ებრძვის ქართულ ცნობიერებასა და ქართულ განათლებას. მარგველაშვილმა რამდენიმე პროგრესული ნაბიჯი გადადგა, სახელმძღვანელოები უფასოდ დაურიგა ბავშვებს და ამის გამო ატყდა ალიაქოთი, რომ თურმე მილიონები დაკარგეს ვიღაც საქმოსნებმა, იმას არავინ იხილავს, თუ რა სულელური და ბავშვების დამჩლუნგებელი სახელმძღვანელოებია ახლა და ეს არის პირდაპირ მიმართული იმისკენ, რომ ქართველი უნიჭიერესი ბავშვი გონებაჩლუნგად გამოეცხადებინათ. ამის მიღმა სხვა არანაირი ნაბიჯი მარგველაშვილმა არ გადადგა, რომ ეროვნულ ცნობიერებაზე იყოს დაფუძნებული ქართული განათლება და მოხდეს სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბუდებული უცოდინარი ადამიანებისგან გაწმენდა. ის კანონი, რომელიც შემოიტანა ივანე კიღურაძემ, ჩააგდეს პარლამენტში და მას ხმა არ მისცეს რესპუბლიკელებმა. ზურაბიშვილი შემდეგ უკვე აცხადებდა, არ ვარ მომხრეო, ეს სოროსული ტენდენციები, რომ ყველა გაეყარათ, ვინც სამშობლოს მოყვარული მეცნიერი იყო, ყველა გაყარეს უნივერსიტეტიდან, დღეს უნივერსიტეტში ისეთივე შედეგი დადგება, როგორიც დადგა მოსამართლეების კონფერენციაზე. ეს მაგონებს ალი-ბაბასა და ორმოცი ყაჩაღის ამბავს, როცა ყაჩაღებმა ისევ ალი-ბაბა აირჩიეს. კუბლაშვილი არის პირველი ადამიანი, რომელმაც შექმნა ეს მახინჯი სისტემა, ისევ ის აირჩიეს და უარესი მდგომარეობა მივიღეთ, ვიდრე აქამდე გვქონდა. სანამ უნივერსიტეტი არ გაიწმინდება უცოდინარი ადამიანებისგან, არაფერი გვეშველება. სააკაშვილი არის პირველი მტერი ქართული ცნობიერების, რომელიც ანგრევდა ახლაც ანგრევს ქართულ სახელმწიფოს. მოსპეს მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი და საშუალო სკოლა.

– რა აზრის ხართ იმაზე, რომ პედაგოგებმა ვერ გაიარეს სასერტიფიკაციო გამოცდები და მივიღეთ უმძიმესი შედეგი?

– დიახ, ეს ნაციონალები დღესაც ბობოქრობენ და დღესაც აქეთ გვასწავლიან ჭკუას. გარდა ნაციონალებისა, არც ერთ ქართულ ოჯახს არ უგრძნია ეკონომიკური წინსვლა, რვასულიანი ოჯახი უმუშევრები ვიყავით იმიტომ, რომ არ ვიძახდით „მიშა მაგარიას“. თუ გააგრძელებს სანიკიძე ასევე, მას მივესალმები. ერთია მიზანი, რომ ქართული მეცნიერება ფეხზე დადგეს, თავისმომჭრელია გამოცდები მასწავლებლებისა, სადაც 90%-მა ეს გამოცდები ვერ გაიარა. ამაზე მეტი საშინელება არ შეიძლება იყოს. პედაგოგი მერაბ ჯიბლაძე, რომელიც სკოლაში ფიზიკას ასწავლიდა, განცვიფრებული მელაპარაკებოდა, რა დონეა ჩვენთან. დღეს უნივერსიტეტშიც არ არის ის დონე, დღეს ჩემი პროფესიით თურქული იცის მეწაღეემაც კი, მაგრამ აღმოსავლეთმცოდნება სხვა რამეა. იქ უნდა იცოდე ისლამი, ფილოსოფია, პოეზია. ამას აღარავინ ასწავლის.

– თენგიზ გუნავას შეწყალების გამო და ახალაიას პროცესთან დაკავშირებით ეს დღეები მთელი საზოგადოება შეწუხებულია. თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესებს?

– ეს არის თავზარდამცემი რამ. არ შეიძლება ასე. აღარ არსებობს ძალა, რომელმაც შეიძლება სახელმწიფო დონეზე იაზრონოს. როგორ შეიძლება, კაცი, რომელსაც მიუსაჯა სასამართლომ, მეორე დღეს სააკაშვილმა შეიწყალოს. სააკაშვილი ივანიშვილს ებრძვის და მის ჯიბრზე გააკეთა ეს. სამი ქალიშვილი ჰყავს გუნავას. მე რომ მის შვილებს შევხედე, გული დამწყდა. რომ მიუსაჯეს და რომ გამოვიდა, გამიხარდა, მაგრამ უნდა გააცნობიეროს, რომ სხვებსაც ჰყავს შვილები და იმათი დანდობაც არის საჭირო და არა ის, რაც ხდებოდა სამეგრელოში. ისევ გუბერნატორად დასვა სააკაშვილმა. ეს არის თავის მოჭრა. სააკაშვილმა კი შეიწყალა ის, მაგრამ დადგება დრო და სააკაშვილს რომ მიუსჯიან, მას არავინ შეიწყალებს, ცოცხებზე დასვამენ პირადად მიხეილ სააკაშვილს. ახალაიას პროცესს რაც შეეხება, ესეც თავისმომჭრელია. ეს ნაციონალები გამოკვეთილი მავნებლები არიან, ჯალათები და მკვლელები. სათითაო ადამიანები კი არ უნდა დააკავონ და გაასამართლონ, არამედ მთელი სისტემა უნდა გასამართლდეს. ბაქრაძეც, თითქოს პატიოსნად გამოიყურება და არ მიუძღვის დანაშაული არაფერში, თავის სიმამრს მიხედოს, როგორ გაიმარჯვა ტენდერში და რა აქვს ჩადენილი. უბედურებაა, ასეთი ადამიანი დღეს რომ თავს საპრეზიდენტო კანდიდატად აყენებს. უნდა შევხვდე ივანიშვილს და ეკონომიკაზე უნდა ველაპარაკოო, კიდეც აცხადებს, იდეალად უმეცარ ზურაბ ჯაფარიძეს გვისახელებს, რომელმაც არაფერი იცის, ეკონომიკაში რა ხდება. ეს ყოველივე „ქართული ოცნების“ ბრალია. მასში არის რესპუბლიკური პარტია, რომელიც არ განსხვავდება ნაცინალური მოძრაობისგან, დიდ ფულს იღებს ამერიკისგან და მოსყიდულია. ბატონ ბიძინას პირადად დიდ პატივს ვცემ. მან უნდა გადაწყვიტოს, რომ ან უნდა იყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და აღასრულოს ეს დაპირებები, სამართლიანობა უნდა აღადგინოს. ეს მხოლოდ დაჭერას არ ნიშნავს. დაუბრუნოს ხალხს თავისი ქონება. თუ არ შეუძლიათ ეს, გადგნენ გვერდზე და ამას თავად ხალხი გააკეთებს, ცოტა ხანში ისე აღდგება ქართველი ხალხი, რომ ვერაფერი გააჩერებს და, როგორც ამერიკა გადაარჩინა თავის დროზე ლინჩის წესმა, ისე მიიღებენ ესენიც ლინჩის წესს. სამართალმა პური უნდა ჭამოს და მეც ვიქნები ამ ხალხში, ვინც ამათ ფიზიკურად გაუსწორდება. სააკაშვილით დაწყებული, დავით საყვარელიძით დამთავრებული, ყველას ბოლო მოეღება. სჯობს, გაისუსონ სასამართლოს მოლოდინში.

– ლეხ კაჩინსკის ძმა იყო ჩამოსული საქართველოში, ნაციონალებთან მივიდა და მერაბიშვილიც მოინახულა, არსებული ხელისუფლება გააკრიტიკა. ამ ვიზიტზე რა აზრის ხართ?

– ხან ლეხ კაჩინსკი ჩამოჰყავდათ, ხან მისი ძმა. კაჩინსკიმ პოლონეთს ვერ მიხედა. სააკაშვილი ამბობდა, ქართულ სუფრაზე კაჩინსკის სადღეგრძელოს ამბობენო. დღეს აღმაშენებლის სადღეგრძელოს აღარ სვამენ, ვინ არის კაჩინსკი, რა არის ეს მონური ფსიქოლოგია. ჩამოვა ხოლმე გოგოლის „რევიზორივით“. მან თქვა, სააკაშვილმა მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიული მოდელი შექმნაო. ტირანი და სისხლისმსმელი როგორ უნდა იყოს დემოკრატი, მილიარდები დაახარჯეს და ამიტომ ამერიკაც ამას ამბობს. ეს მოსამართლეებიც ამათია. ხვალ ხალხი იმ მოსამართლეს მიუვარდება, რომელმაც ახალაია გაამართლა, გამოიყვანს და ჯოხით და ცოცხებით განდევნის საქართველოდან.

– ივანიშვილმა განაცხადა, რომ ახალ წლამდე დატოვებს თანამდებობას. როგორ ფიქრობთ, ამის დრო არის ახლა?

– როგორ შეიძლება ეს, ჯერ ამის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, ივანიშვილი აირჩია ხალხმა და არა რომელიმე პარტია. მე მივეცი „ქართულ ოცნებას“ ხმა, რესპუბლიკელებს ხმას არასოდეს მივცემდი, რადგან ივანიშვილი გამოჩნდა, როგორც სიკეთის ნათება, მას დავუჭირე მხარი, ახლა კი მიდის და ვის უტოვებს ქვეყანას?! არ გავჩერდები, გავაგრძელებ რესპუბლიკელების კრიტიკას, იმიტომ რომ სააკაშვილის იდენტურები არიან. სააკაშვილი ჩემი სისხლი და ხორცია, ახლო ნათესავია, მაგრამ ჩემს შვილსაც კი არ დავინდობ, თუკი ვიცი, რომ საქართველოს წინააღმდეგ იბრძვის. ივანიშვილი რომ წავიდეს, მერე ნახეთ, როგორ დაერევიან ეს პარტიები ერთმანეთს. ჩაატაროს საპარლამენტო არჩევნები და წაბრძანდეს. ეს არის ღალატი, ან არ უნდა მოსულიყო და, თუკი მოვიდა, ბოლომდე შეასრულოს ეს დაპირებები.

– თქვენ საბოლოოდ გადაწყვიტეთ, ვის დაუჭერთ მხარს საპრეზიდენტო არჩევნებზე?

– რა თქმა უნდა, დიდი ხანია, გადაწყვეტილი მაქვს. მარგველაშვილის მიმართ პრეტენზიები მაქვს, ეგეც თავისუფლების ინსტიტუტის გამოზრდილია, მე უნდა ვიყო პლასტილინიო, აცხადებს, მე კიდეც დავუწერე, რომ პლასტილინიდან ვაზელინამდე ერთი ნაბიჯია. რად მინდა ისეთი პრეზიდენტი, რომელსაც თავისი ხმა არა აქვს. კაცის კაცობა არ ვარგა. ბაქრაძე მიუღებელია და ამორალურია ჩემთვის სალომე ზურაბიშვილი. ამაზე სხვა დროს ვიტყვი. ერთადერთი, ნინო ბურჯანაძეა, რომელიც მიხედავს ქართველ ხალხს, მათ ინტერესებს გაიზიარებს, პრინციპულად ისაუბრებს ამერიკასთანაც და რუსეთთანაც. ეს ქალბატონი ნინოა.

პროკურატურა ლევან კორტავას საქმეზე სხვა მაღალჩინოსნების დაკავებას არ გამორიცხავს

გეგუთის ციხეში გარდაცვლილი პატიმრის ლევან კორტავას საქმეზე დაკავებულებს ბრალი ოფიციალურად უკვე წაუყენეს. პროკურატურა უახლოეს მომავალში საქმეზე სხვა მაღალჩინოსნების დაკავებას არ გამორიცხავს.

ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლო სავარაუდოდ, დღეს იმსჯელებს.

შეგახსენებთ, რომ მთავარმა პროკურატურამ კორტავას საქმე გახსნილად მიმდინარე წლის 2 აგვისტოს გამოაცხადა, თუმცა ძიება გრძელდება.

პირველი

პროფკავშირები რკინიგზას ვერ იყოფენ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

თანხას, რომელმაც, ჯამში, 10 ათას ლარამდე მიაღწია, რისი დამადასტურებელი უწყისებიც ინახება საქართველოს რკინიგზელთა პროფკავშირებში. ამის საფასურად მას არაფერი გაუკეთებია და ანაზღაურებაც, შესაბამისად, არ ეკუთვნოდა. რაც შეეხება შეკითხვას, „მაღალი რანგის“ ჩინოვნიკებში გაუგებარია, თუ ვის გულისხმობენ პროფკავშირების გაერთიანებაში, რადგან პროფკავშირის წევრობა შეუძლია ნებისმიერ რკინიგზელს, ვინც რკინიგზაზე მუშაობს, მიუხედავად დაკავებული თანამდებობისა, რომელთაც სრული უფლება აქვთ, იყვნენ პროფკავშირის წევრები და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში, თუმცა ყრილობაზე ისინი არ ყოფილან. როგორც ჩანს, პეტრიაშვილსა და ალექსანდრიას ნამდვილად „ამნეზია“ სჭირთ და არ ახსოვთ, თუ როგორ მოიყვანა ნაციონალურმა მოძრაობამ ისინი პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მაგრამ მალე მათი ყრილობაც იქნება და, დარწმუნებული ვარ, სამართალი პურს ჭამს. სხვათა შორის, ჩვენი ყრილობის შედეგები სამართლიანად ცნო თვით ირაკლი პეტრიაშვილმა და მიულოცა კიდეც არჩეულ თავმჯდომარეს, ლომიძეს, მაგრამ შემდეგ პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ ყოვლად უსუსური მიზეზით სასწრაფოდ გარიცხა რკინიგზელთა პროფესიული კავშირი გაერთიანების წევრობიდან, რაც საქართველოში პროფკავშირების გახლეჩისა და დარღვევის მცდელობის მაჩვენებელია.

– მაგრამ ალტერნატიული „ახალი“ პროფკავშირი მაინც შეიქმნა.

– სამწუხაროა, რომ გაერთიანებამ, ყველაფრის მიუხედავად, შეძლო რკინიგზელთა მცირე ნაწილის დარწმუნება „ალტერნატიული“ პროფკავშირის შექმნის აუცილებლობაში. ვფიქრობ, ისინიც ძალიან მალე დაინახავენ რეალობას. სააკაშვილისა და მერაბიშვილის მხარდაჭერით მოსული პეტრიაშვილის მომხრეები, როცა დაინახავენ, რომ ხელმძღვანელად ჰყავთ „ახალი ლიდერი“ – არარკინიგზელი, ვინმე ვიტალი გიორგაძე, რომელმაც „გალიდერება“ დაუყოვნებლივ გამოიყენა სათავისოდ და „საქმიანობა“ იმით დაიწყო, რომ ადმინისტრაციის შეცდომაში შეყვანით მოახერხა, გაცდენების გამო სამსახურიდან დათხოვნილი მამამისი 1700-ლარიან სამსახურში აღდგენა. იმასაც მიხვდებიან, რომ გაერთიანებას მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის სჭირდება ისინი, რათა საერთაშორისო ორგანიზაციებისგან კვლავ მიიღონ გრანტები, რომელთა ასავალ-დასავალს ვერავინ მიაგნებს. ამის პრეცედენტი უკვე იყო, როცა საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირის მოთხოვნით დაფინანსებული 34 სემინარიდან მხოლოდ რამდენიმეს ჩატარების შესახებ არსებობს ინფორმაცია. სხვებზე გაწეული ხარჯების შესახებ ცნობას სათანადო ორგანოების ჩარევით თუ მივიღებთ... ამიტომ სულ ტყუილია ალექსანდრიასა და სხვათა იმედები, რომ სოციალური დიალოგის გზით „ახალ“ პროფკავშირებთან ცივილიზებულად ითანამშრომლებენ, რაც ვერ გააკეთეს „ძველ“ პროფკავშირთან. უცნობია, რა უფრო აწუხებს გაერთიანებას და მათ რჩეულ გიორგაძეს, ის, რომ არჩევნებში სრულიად სამართლიანად ვერ გაიმარჯვეს თუ ის, რომ საქართველოს რკინიგზელთა პროფესიული კავშირი გზის ხელმძღვანელობასთან სოლიდარულად საქმიანობს და არასდროს გამეორდება ის, რაც აქამდე იყო.

– კერძოდ, რა?

– საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებას ვეტყოდი: როცა რკინიგზის ძველმა ხელმძღვანელობამ საკუთარი თანამშრომლების პროფკავშირი არალეგიტიმურად გამოაცხადა და დასაშლელად გაწირა, თქვენ რკინიგზელებს არათუ არ დაუდექით გვერდში, არც გიკითხავთ, ხომ არაფრით დაგეხმაროთო. მათსავე გასაჭირზე მოითბეთ ხელი, აცნობეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, კოლეგებს უნდა დავეხმაროთო და გრანტები გადმოარიცხვინეთ, რომლის ასავალ-დასავალი თქვენს მეტმა არავინ იცის. მეტიც, თქვენ გსურდათ, არარკინიგზელი გამხდარიყო რკინიგზელთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე, რათა მისგან მიღებული თანხებით ძველებურად აიშენოთ სრა-,სასახლეები, მაგრამ რადგან ეს იმედი გაგიცრუვდათ, როგორ თუ საწევრო შეგვიწყვიტეთო, 1200 ლარის გადაუხდელობის გამო რკინიგზელთა პროფესიული კავშირი გარიცხეთ გაერთიანების წევრობიდან და სწორადაც მოიქეცით, დროზე მიხვდით, რომ თქვენი წევრობა, უბრალოდ, სირცხვილია. სწორედ ამიტომ აცხადებენ, რომ ჰამლეტ ლომიძე აქამდე ჩრდილში იდგა, მაშინ როცა მათზე კარგად არავინ იცის, რომ ყბადაღებულ სადგურ ბროწეულაში ხელფასის მოთხოვნით სხვებთან ერთად იდგა. გადასინჯეთ დოკუმენტები და ნახეთ, ვისი ხელმოწერითა და პასუხისმგებლობით იქცა ეს გაფიცვები კანონიერად, ეზუგბაიასა და სხვა ინსტანციების წარმომადგენელთა სახელზე გაგზავნილი წერილები ვისი ხელმოწერილი იყო და, თუ თქვენი მეხსიერება ასე მოკლეა, ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია პროფკავშირში ინახება. კარგად იცოდეთ, ლომიძე პატიოსანი ადამიანია და პეტრიაშვილის „კანტორას“ 60-70 ათას ლარს არასდროს ჩაურიცხავს, როგორც ეს წლების განმავლობაში ხდებოდა. სწორედ ამიტომ აკეთებდით ყველაფერს, რომ ის არ გასულიყო ლიდერად.

ივლისში ინფლაციის დონემ 0,2% შეადგინა

მიმდინარე წლის ივლისში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ -0,2% შეადგინა.

საქსტატის ინფორმაციით, 12 თვიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა სურსათის და ალკოჰოლის სასმელების ჯგუფმა იქონია. მაცემულ ჯგუფში ფასები 1,1%-ით შემცირდა. შესაბამისად, ჯფუგის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში -0,38 პროცენტული პუნქტი შეადინა. ასევე გავლენა იქონია ტრანსპორტისა და ჯანმრთელობის ჯგუფებმაც. ტრანსპორტის ჯგუფზე ფასები 2,9%-ით შემცირდა და ჯგუფის წვლილმა წლიურ ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში -0,37 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ჯანმრთელობის დაცვის ჯგუფში კი, ფასები 5,6%-ით გაიზარდა. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,45 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

ნიუსპრესი

„რუსებმა ივანიშვილს დაუბარეს, სააკაშვილი დაიჭირე და დაგელაპარაკებითო“

დიმიტრი მედვედევის განცხადებებმა ნაციონალები აღაშფოთა

შორენა მარსაგიშვილი

რუსეთის პრემიერმა, ავადსახსენებელმა დიმიტრი მედვედევმა, აგვისტოს ომთან დაკავშირებით საინტერესო განცხადებები გააკეთა. რითიც კობა დავითაშვილის მიერ ოცნების მიტოვება და ბაჩო ახალაიას გამამართლებელი განაჩენი ყველას დაავიწყა. ნაციონალებს კი ბიძინა ივანიშვილის გასალანძღად ახალი სტიმული მისცა.

დიმიტრი მედვედევმა ღუსსია თოდაყ-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიზანი არც თბილისზე შტურმი იყო და არც მიხეილ სააკაშვილის დასჯა. მისივე თქმით, იმის მიზეზი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის გამო საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი დღემდე არ დასჯილა, საერთაშორისო ინსტიტუტების არასრულყოფილებაა.

ინტერვიუში დიმიტრი მედვედევი საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში დამნაშავე მიხეილ სააკაშვილია, ვაჟკაცურს უწოდებს და ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ აგვისტოს ომზე პასუხისმგებლობა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ეკისრება, მაღალ შეფასებას აძლევს.

– საკმარისია გავიხსენოთ, რა თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა. მან ხომ სიმართლე თქვა: „ეს თქვენ, სააკაშვილო, მოახდინეთ ყველაფრის პროვოცირება და გააღვივეთ კონფლიქტი“. ალბათ, მისთვის რთული იყო ამის თქმა, თუმცა ეს ვაჟკაცური სიტყვებია, – განაცხადა რუსეთის პრემიერმა.

მისი განცხადებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალიან ცოტა რამ თუ იცოდა მიხეილ სააკაშვილის გეგმებზე, გაღვივებინა კონფლიქტი 2008 წლის აგვისტოში, მაგრამ „ორმაგი პოზიცია“ დაიჭირა. რუსთა პრემიერის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერ პრეზიდენტს კარგად ესმის, რომ რუსეთთან კონფლიქტი არ შეიძლება.

– იქ იყვნენ ცხელი თავები, ჩვენთვის ეს ცნობილია, მაგრამ ვფიქრობ, იყო ცივი განხილვები, რომ ამას შეიძლება სერიოზული კონფლიქტი მოჰყოლოდა. ეს კი არავის არ სჭირდება. კონფლიქტის შედეგად რუსეთმა მოახერხა, არ მოსვლოდა უკმაყოფილება მთელ სამყაროსთან, რაც რუსეთისთვის უკიდურესად არამომგებიანი იქნებოდა. რუსეთს რომ არაპროპორციული ძალა გამოეყენებინა, ან პირიქით, საერთოდ არ გამოეყენებინა, ყველაფერი შესაძლოა, სხვანაირად ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოქალაქეების და სამშვიდობოების წინააღმდეგ აგრესია განხორციელდა, 5 დღეში აღვკვეთეთ ეს კონფლიქტი. მკაცრად, მაგრამ, ჩემი აზრით, სამართლიანად. – ამბობს მედვედევი.

სააკაშვილის მაგინებელი მედვედევი თავის რუსეთთან ერთად მზადაა

საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს. ურთიერთობების აღსადგენად პრემიერი ერთ პირობას გვიყენებს.

– რუსეთი მზად არის, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს იმ პირობით, თუ საქართველო 2008 წლის აგვისტოში მომხდარ ფაქტს აღიარებს. მე შეგახსენებთ, რომ რუსეთის ფედერაციას არ გაუწყვეტია საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები. ჩვენ მზად ვართ, მის აღსადგენად გარკვეული პირობების შემთხვევაში. ეს მარტივია – აღიარება იმ ფაქტის, რაც მოხდა. შესაძლოა ეს პროცესი წავიდეს აკურატული, რთული გზით, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ წარსულში დაბრუნება არ მოხდება. ამით ბოლო წლებში ყველაზე სამწუხარო ფურცელი ჩვენ ურთიერთობებში გადაიშლება და წავა მიხეილ სააკაშვილის და რამდენიმე პირის პოლიტიკური არენიდან გაქრობასთან ერთად. დღეს უკვე სხვა ვითარებაა და საქართველოს ახალ ხელისუფლებას გაცილებით პრაგმატული პოზიცია უჭირავს. ჩვენ ამას მივესალმებით, – განაცხადა მედვედევმა.

მედვედევის ინტერვიუმ, როგორ უკვე გითხარით, ყველა თემა გადაფარა. ნაციონალებს კი ახალი სალაპარაკო გაუჩინა. რუსეთის პრემიერის ინტერვიუს დეპუტატმა შოთა მალაშხიამაც ყურადღებით უყურა. მედვედევის განცხადებებით ჩვენი დეპუტატი აღშფოთებულია, მაგრამ იმედით უყურებს მომავალს. მალაშხიას სწამს, რომ

საბოლოოდ, მაინც გავიმარჯვებთ და რუსეთი, აქ ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხს აგებს.

– რუსული ოცნება თანდათანობით კვდება. ისინი რეალურად ხედავენ, რომ აქ ჩადენილ დანაშაულს, ეთნოწმენდას, ოკუპაციას, გამოსავალი არ აქვს, იმიტომ, რომ ჩვენ მედვედევის სხვა განცხადებებიც ვიცით. ის აკეთებდა განცხადებას, რომ მან შეაჩერა ნატო-ს სწრაფვა რუსეთისკენ, მან ასევე ისაუბრა იმაზე, რომ ჩვენ მოვუწყვეთ ოსებს გენოციდი. მეტიც, თავისი დღევანდელი პრეზიდენტი საუბრობდა, რომ მას ჰქონდა 2007 წელს საქართველოში შეჭრის გეგმა. ეს ყველაფერი დღეს აბსოლუტურად შეცვლილია. ეს არის საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი. იცის, რა დანაშაულიც ჩაიდინა და რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელდეს აქ პრორუსული პოლიტიკა, საბოლოოდ, მაინც გავიმარჯვებთ და ამ შედეგს დავდებთ რეალურად, რომ საქართველომ პასუხი აგებინოს რუსეთს აქ ჩადენილი დანაშაულის გამო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში მალაშხიამ.

მალაშხიაზე უფრო მეტად გამწარდა დეპუტატი დავით საყვარელიძე მისი განცხადებით, საქართველოს მოსახლეობამ მედვედევის განცხადებები კარგად უნდა გააანალიზოს და სათანადო დასკვნები გააკეთოს..

– ვისაც ამის შემდეგ კიდევ ეპარება ეჭვი, რომ ის, რაც საქართველოში ხდება, ყველაფერი რუსული პროექტია, ვილაპარაკოთ! თურმე ერთადერთი პრობლემა ჩვენს ერთმორწმუნე მეზობელთან რაც გვქონია, მიშა ყოფილა! პირდაპირ უთვლიან მიშა დაიჭირე, გააქრე ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური სივრციდან, საქართველოს მიერ ომის დაწყება, შესაბამისად საერთაშორისო სამხედრო დანაშაული აღიარე, თავზე ნაცარი დაიყარე და მერე ვილაპარაკოთო! ისიც იმაზე, ელჩი მანდ გამოუშვათ, თუ არაო! ვისაც ტვინი ჯერ კიდევ გაყინული აქვს, იქნებ ახლა მაინც გაულღვეს! აქ უკვე აღარაა წყალგამყოფი პარტიული კუთვნილება თუ პირადი ზიზღი, ვისაც ოდნავ მაინც ეროვნულო ღირსების და თავმოყვარეობის განცდა შერჩა, იქნებ დაფიქრდეს, – აცხადებს დავით საყვარელიძე.

შორენა მარსაგიშვილი

ჯემალ გამახარია: „აფხაზეთის მთავრობაში ცვლილებები აუცილებლად მოხდება“

მიმდინარე წლის 29 ივლისს საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყარა პრეზიდენტის შენიშვნებს კანონპროექტზე ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე და უარყო მისი შენიშვნები. მეორე კენჭისყრის შედეგად კი (92 მომხრე, არც ერთი წინააღმდეგი) პრეზიდენტის ვეტო გადაილახა. ვინაიდან აღნიშნული კანონპროექტი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით არის მიღებული, შეფასება უმაღლესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარეს, ბ-ნ ჯემალ გამახარიას ვთხოვეთ.

– რას იტყოდით პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ვეტოს გადალახვის შესახებ და როგორ შეაფასებდით თვით ამ ფაქტის მნიშვნელობას?

– საქართველოს პარლამენტის მიერ პრეზიდენტის ვეტოს გადალახვა კარგა ხანია, ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული. ამჯერად კი რამდენადმე განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. 29 ივლისს ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, თუ ასე შეიძლება ითქვას, „დანაღმული“ ვეტო დაძლია. მხედველობაში მაქვს 26 ივლისს პარლამენტის შენობის ვითომ დანაღმვის შესახებ „გამაფრთხილებელი“ ზარის შემოსვლა (რამაც საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის იძულებით შეწყვეტა და ვეტოს დაძლევის სამი დღით გადავადება გამოიწვია), აგრეთვე იმ ყბადაღებული ვეტოს ქვეტექსტები და ნამდვილი მიზნები.

როდესაც პრეზიდენტის შენიშვნების განხილვისას პარლამენტში მისი ადმინისტრაციის უფროსის ხელმძღვანელის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ბ-ნი დიმიტრი ძაგნიძე, აგრევე ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ბატონები აკაკი ბობოხიძე და გიორგი კანდელაკი სიტყვით გამოდიოდნენ, მეგონა აფხაზეთის „ამბოხებულ“ მინისტრებთან და ამ უკანასკნელთა მიერ უმაღლეს საბჭოში „ქართული ოცნების“ სახელწოდებით ახლახან შექმნილი ფრაქციის წევრებთან შეხვედრაზე ვიმყოფებოდი. თანამოაზრეთა მთელი ეს კომპანია ერთიანი ტექსტით გვესაუბრება, სიტყვა სიტყვით ერთსა და იგივე ზღაპრებს ყვება, ყველაფერზე ლაპარაკობს (უმაღლესი საბჭოს „ანტიკონსტიტუციურ“ გადაწყვეტილებაზე, ვახტანგ ყოლბაიას „უკანონობაზე“, „თავისუფლების ქარტიაზე“ და ა.შ.), გარდა იმ კონკრეტული, ძალიან მარტივი საკითხებისა, რომლებიც მათ მიერ ვეტოდადებული კანონპროექტით უნდა დარეგულირდეს. პარლამენტში გამართული დებატებით, ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა გამოსვლებით საბოლოოდ გაირკვა, რომ კრიზისი აფხაზეთის მთავრობაში ხელოვნურად არის გამოწვეული; რომ იგი პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და ნაცმოძრაობის საპარლამენტო გუნდის მხრიდან იმართება; რომ მათი საერთო მიზანია არსებული კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავება, მისი დროში გაწელვა (თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე) და მუდმივი დაძაბულობის კერის შენარჩუნება; რომ აფხაზეთის მთავრობის დროებით წევრებსა და უმაღლესი საბჭოს ახალ ფრაქციას ინტენსიური ურთიერთობა აქვთ პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, საპარლამენტო უმცირესობასთან; რომ იქიდან მოსდით დირექტივები, იქიდანვე ხდება მოქმედების კოორდინაცია. კავშირი მათ შორის იმდენად მჭიდროა, რომ ჯერ კიდევ ორი თვის წინ, როცა უმაღლეს საბჭოში მხოლოდ მზადდებოდა საკანონმდებლო ინიციატივა ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ერთერთმა „ამბოხებულმა“ მინისტრმა მითხრა, რომ პარლამენტის მიერ იმ კანონპროექტის მიღების შემთხვევაში პრეზიდენტი მას ვეტოს დაადებდა(?!). „წინასწარმეტყველებაც“ ამას ჰქვია. კიდევ ერთ ფაქტს მოგიტანთ. ოფიციალურად პრეზიდენტის ვეტო 16 ივლისს საღამოს გამოცხადდა; უმაღლესი საბჭოს ახალი ფრაქციის წევრები და მინისტრები კი ამ „დიდ საერთო გამარჯვებას“ სამი დღით ადრე ზეიმობდნენ...

ამა წლის 26 ივლისის საპარლამენტო დებატებმა ფარდა ახადეს რეალობას; საზოგადოებამ დაინახა, რომ ნაცმოძრაობა ცდილობს აფხაზეთის სახელისუფლებო სტრუქტურებში საკუთარი დასაყრდენის შენარჩუნებას, ახალი მომხრეების შეძენას, რომელთა ნაწილს „ოცნების“ სახელითაც ნიღბავს (როგორც ეს უმაღლეს საბჭოში ახალი ფრაქციის ჩამოყალიბების შემთხვევაში მოხდა), ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა გამრავლებას და ა.შ. „დანაღმული“ ვეტოს დაძლევამ ყველა ამ მცდელობას წერტილი დაუსვა; შექმნა სამართლებრივი საფუძველი ხელოვნურად ინსპირირებული სამთავრობო კრიზისის გადასალახავად, მინისტრების მოვალეობის დროებით შემსრულებელთა მიერ მოწყობილი, ზემოდან კურთხევა მიცემული „ამბოხებისა“ და „საბოტაჟის“ აღსაკვეთად. 92 პარლამენტარის მხარდაჭერაში მე ვხედავ ადრე იგნორირებული აფხაზეთის ლეგიტიმური სახელისუფლებო სტრუქტურების უფლებებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისკენ ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯს.

ერთი სიტყვით, საქართველოს პარლამენტის ა.წ. 29 ივლისის გადაწყვეტილებას აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლებისთვის, არც მეტი, არც ნაკლები, საეტაპო მნიშვნელობა ექნება, მის დადებით შედეგებს ძალიან მალე მოვიმკით.

– ჯერ არ ვიცით „ძალიან მალე“ რას მოვიმკით, მაგრამ იმას კი ვხედავთ, რომ კრიზისი ოთხი თვე მიმდინარეობს. ნუთუ უფრო ოპერატიულად არ შეიძლებოდა ამ პრობლემის მოგვარება? ეს ყოველივე ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეზე ხომ არ მიუთითებს?

– მადლობას მოგახსენებთ ასეთი საინტერესო შეკითხვისთვის. რა თქმა უნდა, პრობლემის მოგვარება ძალიან სწრაფადაც შეიძლებოდა. არ მინდა ვრცელი ლექცია გამომივიდეს, ამიტომ მოკლედ მოგახსენებთ: აშკარაა, რომ ჩვენი სახელმწიფოს დღევანდელი მესვეურები გულწრფელად ცდილობენ უარი თქვან ადამიანების დათრგუნვის, ღირსების შელახვის, უსამართლობისა და დანაშაულის ისევ და ისევ უსამართლობითა და დანაშაულის ჩადენის გზით (მაგალითად, აფხაზეთის მინისტრების დაშინების, „საკუთარი სურვილით“ განთავისუფლების) პრობლემის „სწრაფად მოგვარების“ მწარე გამოცდილებაზე. საკითხი, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, გარწმუნებთ, ისტორიაში დარჩება როგორც ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება, როდესაც პატარა რეგიონალური ჩინოვნიკის თვითნებობის აღკვეთას ქვეყნის პარლამენტის თითქმის ორთვიანი საკანონმდებლო მუშაობა და კიდევ დამატებით პრეზიდენტის ვეტოს გადალახვა დასჭირდა. მიხეილ სააკაშვილის „ძლიერი“ ხელისფლების პირობებში ანალოგიური პრობლემა საერთოდ არ წარმოიქმნებოდა ან, რბილად რომ ვთქვათ, არასამართლებრივი გზით ხუთ წუთში „გადაწყდებოდა“. ბიძინა ივანიშვილის „სუსტი“ ხელისუფლების პირობებში კი მსგავსი საკითხების მოსაგვარებლად საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზების გამოსწორება გახდა საჭირო, რამაც საკმაოდ დიდი დრო მოითხოვა. რა თქმა უნდა, ეს გზა მთლად „კომფორტული“ ვერ არის, მაგრამ სხვანაირად სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება შეუძლებელია. როგორც ხედავთ, ჩვენი, ერთი შეხედვით, მარტივი საკითხი ძალიან სერიოზულ პრობლემაზე მსჯელობის საშუალებას იძლევა, თუმცა ეს მომავალში გავაკეთოთ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

დემურ გიორხელიძე: „ეკონომიკასაც ოქტომბრის ბოლოს ეშველება“

ნათია ხურცილავა

„მედიაინფოს“ პრესკლუბში ჟურნალისტების კითხვებს ეკონომიკურმა ანალიტიკოსმა დემურ გიორხელიძემ უპასუხა.

– საქსტატის მონაცემებით, ეკონომიკური მაჩვენებლები რთულ სურათს ქმნის. რა შეიძლება ამის რეალური მიზეზი იყოს?

– ამ საკითხს ორი ასპექტი აქვს: ეკონომიკური და პოლიტიკური. პროფესიული თვალსაზრისით ეს არის ქარიშხალი ჭიქაში. საუბარია ორი კვარტლის წინასწარ მონაცემზე, სოფლის მეურნეობის მონაცემების გარეშე. კლება არის 0,8 პროცენტი. რას ნიშნავს ეს ჩვეულებრივ ენაზე: თუ 2012 წლის ივნისში ვაწარმოებდით 100 ტელეფონს, 2013 ივნისში ვაწარმოეთ 99,2. სულ ეს არის. ერთი თვის მონაცემი, როგორიც არ უნდა იყოს, არ შეიძლება ტენდენციის მაჩვენებელი იყოს. ჩვენ უნდა დავაკვირდეთ ორი კვარტლის ოფიციალურ მონაცემებს და შემდეგ გავაკეთოთ დასკვნა: რეცესია გვაქვს, თუ გვაქვს ზრდის დაბალი ტემპები. ყველა მონაცემით აშკარაა, რომ საქართველოს ეკონომიკა იზრდება, მაგრამ ზრდის ტემპები დაბალია. ჯერ კიდევ 2013 წლის თებერვალში განვაცხადე, რომ 2013 წლის ქართული ეკონომიკა, მთლიანი შიდა პროდუქტი ვერ გაიზრდება 2,5–3%-ზე მეტი. რადგან ვაკვირდებოდი დასაქმებას, ეკონომიკურ აქტივობას. თუ კერძო სექტორი არ აქტიურობს ეკონომიკურად, სახელმწიფო აქტიურობა როგორიც უნდა იყოს, ადრე თუ გვიან, ჩვენ აუცილებლად ჩიხში შევალთ.

– კერძო სექტორის აქტიურობას რა უშლის ხელს? პოლიტიკური პროცესი, ორხელისუფლებიანობა...

– რამ გამოიწვია? ვაკვირდებოდი, რომ ათასობით მოსურნე ადამიანი, რომელსაც უნდა, რომ დამოუკიდებელი ბიზნესი დაიწყოს, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო ვერ ახერხებს ამას. წინა ხელისუფლების დროს როგორი დატერორებული იყო კერძო სექტორი, როგორი შეზღუდული იყო, ეს საზოგადოებამ კარგად იცის. ხელისუფლება თვითონ დომინირებდა ეკონომიკაზე და ზრდის მაჩვენებლებიც ამიტომაც იყო. ახალი მთავრობა კარგად იქცევა, როდესაც არ აგრძელებს წინა ხელისუფლების ეკონომიკურ პოლიტიკას, მაგრამ გარდამავალ პერიოდში მან ჯერ ვერ შეძლო კერძო სექტორის გააქტიურება. ფული ისევ ხელმიუწვდომელია, ფული მხოლოდ ბანკებშია კონცენტრირებული. მახინჯი კანონმდებლობის გამო ბანკებს უფლება აქვთ, თავიანთი შვილობილი კომპანიებით აწარმოონ მშენებლობა, ჰქონდეთ რესტორანი, ჰქონდეთ ტურისტული ბიზნესი, სადაზღვევო კომპანიები, ა.შ. ბუნებრივია, ისინი კონკურენტების დაფინანსებით არ არიან დაკავებული. ამიტომ ბანკი გახდა არა ბანკი, არამედ ფინანსური ჯგუფი, რომელიც ბიზნესს აკეთებს. ადამიანს, რომელსაც ბიზნესის კეთების დაწყება უნდა, დაწყობილი ფული არ აქვს, ეს მთელ მსოფლიოში ასეა. ბიზნესმენი კარგი იდეით მიდის იქ, სადაც ფულია, ბანკში. რაკი არ არის ასეთი შესაძლებლობა, ამას ემატება ქონების გაუფასურება ანუ დეკაპიტალიზაცია. ეს არის უმძიმესი პრობლემა. სოფელში აქვს ადამიანს შესანიშნავი სახლი, კარ-მიდამო, ეზო, მიწის ნაკვეთი, მაგრამ შეაფასებ, არაფერი არ ღირს. მსგავსი კარ-მიდამო ამერიკასა და ევროპაში 600-800 ათასი დოლარი ეღირება. რაკი ფინანსები ხელმიუწვდომელია, რაკი არანაირი ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ცვლილებები ჯერჯერობით არ არის, პრობლემა გაჩნდა.

– „ქართული ოცნების“ მხრიდან ეკონომიკური დაპირებები იყო, ასევე იყო ტარიფების კლებაზე, საწვავის ფასებზე დაპირება ამ ფონზე რა მივიღეთ?

– კონცეფციის შემუშავებას მე ვხელმძღვანელობდი. წინასაარჩევნოდ ყველაფერი სწორად იქნა ნათქვამი. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა უდიდესი პასუხისმგებლობით განაცხადა ყველა ის მონაცემი, რომელიც ითქვა. ეს არ იყო მხოლოდ წინასაარჩევნოდ გამოწვეული, ყალბი განცხადებები.

– ტარიფებზე რას იტყვით?

– დიახ, ტარიფთან დაკავშირებით ლობისტურმა ძალიან ძლიერმა ჯგუფებმა მოახერხეს ის, რომ მთავრობას სანახევრო ნაბიჯი გადაადგმევინეს. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ხელისუფლებას ტარიფებთან დაკავშირებით კიდევ შეუძლია გადადგას ნაბიჯი.

– აქვს ამის რესურსი?

– აქვს, მაგრამ ამისთვის საჭიროა მის ირგვლივ ლობისტური ჯგუფების განეიტრალება შეძლოს.

– მონოპოლიებზე ისევ საუბრობენ? ეს პრობლემა ისევ არის?

– წინა ხელისუფლებამ ბიზნესი რამდენიმე მსხვილ ჯგუფს შორის გადაანაწილა. საკმაოდ მწყობრი სისტემა ააგო წინა ხელისუფლებამ ამ მხრივ. საბანკო, ფარმაცევტული, სამშენებლო ბიზნესი – ესენი ფაქტიურად ხელისუფლების ნაწილი იყვნენ. ხალხი არ ფიგურირებდა. ეს სისტემა ახალი ხელისუფლების მიერ ჯერ მოშლილი არ არის. ახალი ჯერ არ არის და ავტომატურად ძველი მოქმედებს.

– საწვავის მონოპოლიაზე იყო მუდმივად საუბარი, დღეს რა ხდება ამ მიმართულებით?

– საწვავში ისევ მონოპოლიაა, თუმცა, კარები გახსნილია და სხვაც შეუძლია შესვლა.

– მონოპოლიაა ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების თუ ახალმა ჩაანაცვლა?

– არა, ისევ იგივე ნათობკომპანიები დარჩა. ახალმა ჯგუფმა ასეთი სოლიდური ბიზნესი რომ წამოიწყოს, მათ უნდა ჰქონდეს ფული არა ჯიბეში, არამედ ხელში, რომ

დააბანდონ. ქართული საბანკო სისტემიდან სერიოზული ბიზნესისთვის, თავისუფალ ეკონომიკურ ჯგუფს ფულს არავინ ფულს არ მისცემს. ეს არის ჩაკეტილი, მანკიერი სისტემა. ამიტომ პირველი კორექტირება ამ მიმართულებითაა საჭირო.

– ბატონო დემურ, გამოდის, საბანკო სექტორშია ეს პრობლემები მოკალათებული...

– პრობლემები საბანკო სექტოს თავისთავად არ შეუქმნია. ასეთი საბანკო სისტემა წინა ხელისუფლებამ შექმნა, რომელიც არ არის დაინტერესებული ფულის გაცემით. რადგან ჩაკეტილი სისტემაა. იმ მოდელში, რომელიც წინა ხელისუფლებამ შემოგვთავაზა სხვისთვის ადგილი არ იყო. თუ ამ სისტემას არ დაანგრევ და არ გახდი ხელმისაწვდომს ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც კანონის ფარგლებში მოქმედებს, ფინანსებს, იურიდიულ მომსახურებას, მხარდაჭერას, გამოდის, რომ ძველ სისტემას ინარჩუნებ და მოქმედებს ისეთივე მანკიერი ფორმით, როგორც მოქმედებდა.

– ეკონომიკურ მაჩვენებლებს რომ დავუბრუნდეთ, როგორ ხდებოდა ნაციონალური მოძრაობის დროს ამ მაჩვენებლების მიღწევა ცნობილია, მაგრამ საბიუჯეტო დავალიანება არ იყო, ტერმინი – სეკვესტრირებული ბიუჯეტი არ ყოფილა. მსგავსი რამ მოსალოდნელია დღევანდელი ეკონომიკური მაჩვენებლებით?

– ჯერჯერობით სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე არანაირი საფრთხე არ არსებობს. არანაირი კრიზისი ბიუჯეტში არ არის. ეკონომიკური ზრდის ტემპები დაბალი რომ არის, ეს არ ნიშნავს, რომ ფული ბიუჯეტში არ შემოდის. ეკონომიკა იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ თუ იქ პრობლემები გაჩნდა და რეცესია გაჩნდა, მომავალი წლისთვის ბიუჯეტი ვერ დაიგეგმება იმაზე მეტი, ვიდრე არის. ვერ განხორციელდება ის დაპირებები, რომელიც ცოტათი მაინც შეამსუბუქებს არსებულ მდგომარეობას. ამიტომ მიკვირს მთავრობის, რატომ არ აკეთებენ სერიოზულ პროფესიონალურ და პოლიტიკურ განმარტებებს საზოგადოებისთვის. ამ დროს შესანიშნავად ორგანიზებული ოპოზიცია პარლამენტში უმნიშვნელო წვრილმანსაც კი იყენებს მთავრობის წინააღმდეგ. ყოველთვის პოლიტიკა დომინირებდა საქართველოში საზოგადოების ინტერესებზე, ეკონომიკის ინტერესებზე. დაბალი ზრდაა, მაგრამ ატეხილია ისეთი აჟიოტაჟი, თითქოს ქვეყანა დაიქცა, არადა, ასე არ არის. მიმდინარეობს გარდამავალი პერიოდი. ცხადია, მთავრობა უფრო ენერგიულად უნდა ახდენდეს ცვლილებებს. თუმცა, ხშირად საზოგადოებისთვის განმარტებებიც საჭიროა. უნდა ვთქვა კოჰაბიტაციაზეც. ერთი პარტიისთვის მეორე პარტიის გადარჩენა არ უნდა იყოს, პარტიის გადარჩენა მისი ლიდერების ამოცანა უნდა იყოს. ამ ყველაფერმა გამოიწვია ის, რომ ეკონომიკაში ენერგიული, მწყობრი ნაბიჯები ვერ გადაიდგა.

– უცხოურ ინვესტიციებზე რას იტყვით...

– ესეც პროპაგანდის ნაწილია. საკუთარი რესურსი არ არის ჩაბმული ეკონომიკის განვითარებაში და უცხოური ინვესტიცია როგორ მოვა. უცხოურ ინვესტიციები კარგია, მაგრამ მასზე ვერ აეგება სახელმწიფო. პოლიტიკური გარემო, ეკონომიკა ეს ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული.

– სააკაშვილმა ივანიშვილს ეკონომიკაში საკუთარი ფულის ჩადებისკენ მოუწოდა. როგორ შეაფასებთ ამ მოწოდებას?

– ეს იმდენად გაუგებარი მოწოდებაა, რომ არ ვიცი, რა გითხრათ. ჩვენ გვჭირდება ეკონომიკა, სადაც გარემო ჯანსაღია, სადაც ყველაფერი ნათელია. ნორმალურად მოწყობილ ქვეყანაში, სადაც უზენაესი კანონია, ბატონი ივანიშვილის ფულსაც შესანიშნავი ადგილი ექნება და ეს სერიოზული ინვესტიცია იქნება. გარემო ისეთი უნდა იყოს, რომ ნებისმიერი ინვესტორი ჩამოდიოდეს და სიამოვნებით დებდეს თავის ფულს, რომ მოგება ნახოს. მოწოდება, შენ, შენი ფული ჩადე! – ეკონომიკას არ აწყობს. ჩვენ გვაწყობს გარემო, სადაც ყველა ვიშრომებთ და ჩვენს დანაზოგს ეკონომიკაში ჩავდებთ.

– ამისთვის თავისუფალი ბაზარია საჭირო...

– თავისუფალი ბაზარი და თავისუფალი ეკონომიკა ჯერჯერობით ილუზიაა. ამის მიზეზი კი არის ის, რომ პოლიტიკური პროცესი დომინირებს ეკონომიკურ ინტერესებზე. ამიტომ საჭიროა ოქტომბრამდე მივაღწიოთ, როდესაც ეს პოლიტიკური პროცესი დასრულდება.

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „მარიხუანა“ და ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „მარიხუანა“ და ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო.

უწყების ინფორმაციით, გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1953 წელს დაბადებული ელგუჯა შ. ნარკოდანაშაულის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჯვარცხმაში, საცხოვრებელი სახლის ეზოში დარგული ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ შემცველი 17 ძირი კანაფი. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია 2 კილო და 700 გრამი ნედლი „მარიხუანა“.

სამართალდამცველებმა ელგუჯა შ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „გეკო“-ს ტიპის მცირეკალიბრიანი შაშხანა 19 საბრძოლო ვაზნით ამოიღეს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირებისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 265-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 236-ე მუხლის პირველი ნაწილით)“, – ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

პირველი

შსს-მ საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოიღო

საბრძოლო მასალის და ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ბორჯომის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1974 წელს დაბადებული ვლადიმერ ე. დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა, ვლადიმერ ე. ბორჯომის რაიონის დაბა ახალდაბაში იმ დროს დაიკავეს, როდესაც მას ჩანთით უკანონო საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი მოწყობილობა გადაეჰქონდა. მისი პირადი ჩხრეკისას კუმულაციური ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარის „ერ-კა-გე-ზე-ემ“-ის 3 კორპუსი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 23 საბრძოლო ვაზნა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარის „ერ-კა-გე-ზე-ემ“-ის 2 კაფსულა-დეტონატორი ამოიღეს.

გამოძიება საბრძოლო მასალის და ასაფეთქებელი მოწყობილობა უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს.

პირველი

ნინო ბურჯანაძემ გარდაბანში საარჩევნო შტაბი გახსნა

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა, პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ გარდაბანში „დემოკრატიული მოძრაობის“ რაიონული ორგანიზაციის ოფისი და საარჩევნო შტაბი გახსნა.

როგორც შტაბის გახსნის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, იგი მოხარულია, რომ იმყოფება გარდაბანში, პირადად ეცნობა ადგილობრივების პრობლემებს და ასევე მათ საარჩევნო დაპირებებს პირადად აცნობს.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ ვიმყოფები გარდაბანში, სადაც დღეს საარჩევნო შტაბი გავხსენით. ვიმედოვნებ, რომ ისევე როგორც საქართველოს სხვა ბევრ რაიონსა და კუთხეში, გარდაბანშიც ბევრი ადამიანი დაგვიჭერს მხარს. მოხარული ვარ, რომ დღეს ჩემს გვერდით ძალიან ბევრი პატივსაცემი ადამიანი დგას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აქ ქართული და აზერბაიჯული მოსახლეობა ერთმანეთის გვერდი-გვერდ დგანან და ბევრი მათგანი ჩვენ მხარდაჭერას გვიცხადებს“, – განაცხადა ბურჯანაძემ და ადგილობრივებს რამადანის დღესასწაული მიულოცა.

პირველი

ჯემალ გამახარია: „აფხაზეთის მთავრობაში ცვლილებები აუცილებლად მოხდება“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

– პრეზიდენტის ვეტო დაძლეულია, კანონი მალე ძალაში შევა. ამის შემდეგ როგორი იქნება უმაღლესი საბჭოს პირველი ნაბიჯები?

– მაქსიმუმ ათ დღეში კანონი გამოქვეყნდება, რასაც უმაღლესი საბჭოს სესია და აფხაზეთის კონსტიტუციაში დამატების შეტანა მოჰყვება. ამის შემდეგ აფხაზეთის მთავრობის საქმიანობა მყარ სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა და დღეს არსებული კრიზისიც სწრაფად, დაახლოებით აგვისტოს მეორე ნახევარში, მთლიანად აღმოიფხვრება. საკანონმდებლო საქმიანობა შემდგომშიაც ძალიან ინტენსიურად გაგრძლედება.

– მთავრობის დღევანდელი შემადგენლობა შეიცვლება?

– ეს შეკითხვა ორი თვის წინ რომ დაგესვათ, კონკრეტული პასუხის გაცემა გამიჭირდებოდა. ახლა დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ მთავრობის დღევანდელი შემადგენლობა აუცილებლად შეიცვლება. ამას ვამბობ უდიდესი გულისტკივილით, მაგრამ პატივცემულმა მინისტრებმა უმაღლეს საბჭოს სხვა გზა უბრალოდ არ დაუტოვეს. მათ მიმართ უაღრესად კეთილი დამოკიდებულება ჩვენ, დეპუტატებმა, იმით გამოვხატეთ, რომ ოთხი თვის წინ ავტომატურად გადამდგარ (გიორგი ბარამიას წასვლის შემდეგ) მთავრობის წევრებს ერთსულოვანი ნდობა გამოვუცხადეთ და უფლებამოსილება გავუგრძელეთ. პასუხად ასევე ერთსულოვანი „ამბოხი“ და „საბოტაჟი“, ზურგში მახვილი მივიღეთ. მსგავს საქციელს არ გააჩნია არც სამართლებრივი, არც პოლიტიკური და არც ადამიანური, ზნეობრივი ახსნა, მით უმეტეს, გამართლება. ჩვენ არ მოგვეწონა, მაგრამ გაგებით მოვეკიდეთ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, ნაციონალური მოძრაობის პოზიციას. იგივეს ვერ ვიტყვით მათ აყოლილი აფხაზეთის მთავრობის წევრებზე და რამდენიმე დეპუტატზე. რასაც ისინი ერთად აკეთებდნენ და აკეთებენ, არის მხოლოდ და მხოლოდ პიროვნული, ვიწრო ოჯახური ინტერესებით ნაკარნახევი უპასუხისმგებლო ქმედება. მას არაფერი აქვს საერთო პოლიტიკასთან, ქვეყნის ინტერესებთან, ლეგიტიმური ხელისუფლების წინაშე მდგარ ამოცანებთან. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ პატივცემულმა მინისტრებმა რამდენიმე თვეა, რაც საკუთარი თავი ისედაც მოქმედი მთავრობის მიღმა დააყენეს. მიუხედავად ყველაფრისა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ეს ადამიანები ჩვენი ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები არიან. სწორედ ეს მაძლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ მთავრობის წევრთა მოვალეობის შემსრულებლები უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას არ დაელოდებიან და პარლამენტის მიერ უკვე საბოლოოდ მიღებული კანონის ძალაში შესვლისთანავე, ან უფრო ადრეც, ოფიციალურად დატოვებენ ისედაც მიტოვებულ თანამდებობებს. რაც შეეხებათ მოადგილეების უმეტესობას, საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს, რიგით საჯარო მოხელეებს, მათ შეუძლიათ მშვიდად და, როგორც ყოველთვის, პატიოსნად გააგრძელონ მუშაობა. მთავრობაშიც და უმაღლეს საბჭოშიც მოსალოდნელი რეორგანიზაციები არავის წინააღმდეგ არ იქნება მიმართული. მათი მიზანია ახალი რეალიების, ახალი გამოწვევების ადექვატური ეფექტური სტრუქტურების ჩამოყალიბება და არა საკადრო შემცირებები და ანგარიშსწორებები, რის შესახებაც ზოგიერთი მინისტრი თუ დეპუტატი ოთხი თვეა ჭორაობს.

„თუ გენერალ კალანდაძეს ამართლებთ, მე რა დავაშავე?!“

რას ითხოვს დავით ნემსაძე თავდაცვის სამინისტროსგან

როლანდ ხოჯანაშვილი

ლეიტენანტი დავით ნემსაძე არც პირველია, არც უკანასკნელი, რომელიც სისტემის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ეს სწორედ უფრო მტკივნეულია. ერთ შემთხვევასაც უნდა მიექცეს ყურადღება და მით უფრო – სისტემურ შეცდომებსა და დანაშაულებს.

ერთ-ერთ ყველაზე მოწესრიგებულ სამინისტროდ მოჩანდა თავდაცვის სამინისტრო. იყო თუ არა ყველაფერი წესრიგში, ამაში უკვე ეჭვი მეპარება და როგორც მოქალაქეს, შემიძლია დავსვა შეკითხვები, რომელიც იმ უწყებას ეხება, თავდაცვა რომ ჰქვია. ჟურნალისტიკა გვერდით მივწიოთ და ისე, სამოქალაქო პოზიციიდანაც ხომ შეიძლება ვიკითხოთ, სად მიდიოდა ის სოლიდური თანხები, რომლებიც ბიუჯეტიდან თავდაცვაზე იხარჯებოდა?!

არის თუ არა ვალდებული სახელმწიფო, რომ ამ ბრალდების შემდეგ გადაამოწმოს სიტუაცია: „წარმოგიდგენთ ჩემს მიერ სიმართლის ხილულობის მიზნით გადაღებულ ფოტო მასალას, რომელზედაც ასახულია ს/ნ22690 რლდ ბატარეის პირად შემადგენლობაში თანხის აკრეფის ფაქტები, ასევე ბატარეიდან საწვავი საშუალებების ნაშთური დაჯამებები. ფოტოსურათებზე თქვენ ამოიკითხავთ გვარებს „ფერაძე“ და „კილაძე“, ესენი ის პირებია რომელსაც რლდ ბატარეასთან არანაირი შეხება არ ჰქონდათ. ცნობისთვის განგიმარტავთ: ვიცეპოლკოვნიკი თემურ ფერაძე, 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის დროს იყო ს/ნ 22690-ის შტაბის ყოფილი უფროსი, რომელმაც სენაკის ბაზაზე მთელი შეიარაღება მისი უინიციატივობის გამო მოწინააღმდეგეს ჩააბარა (ამის მთელი რიგი ფაქტებია რაშიც გარეულია იმდროინდელი ნაწილის მეთაური თემურ შენგელიაც, თუმცარა მას ამ ეტაპზე არ შევეხები) მეორე – კილაძე, ვიცეპოლკოვნიკ ავთანდილ ჯიქიას მძღოლი, რომელიც პირადად დადიოდა რლდ ბატარეაში საწვავი საშუალების არალეგალური გზით გასატანად.“ ვფიქრობ, რომ წესრიგის „მოყვარულ“ თავდაცვის სისტემაში ასეთი რამე ჯერ არ უნდა მოხდეს, თუ მოხდება, უნდა გამოვლინდეს და დასასჯელი დაისაჯოს.

საბრძოლო მასალის ჩადებაც არანაკლებად საგულისხმო საკითხია. სხვათაშორის, ჩემს მეზობელს აღმოაჩნდა დენიკინისდროინდელი ვაზნები სახლში და ორივე ფეხმოკვეთილ კაცს ამის გამო მიუსაჯეს „პირობითი“. აბა, ვნახოთ, რას ამბობს ამაზე ლეიტენანტი ნემსაძე: „კაპრალი რუბენ ონიანი საუბრობს თუ როგორ მოხვდა მის ზურგჩანთაში დიდი ოდენობით საბრძოლოო მასალა, კერძოდ „აკა74“, როდესაც ის ტყვიაწამალი ონიანის ზურგჩანთაში არ უნდა ყოფილიყო. აუდიო ფაილში (ეს ფაილი აქვს ნემსაძეს-რ.ხ.) თავად მოისმენთ ონიანის საუბარს, თუ რა განმარტება მისცეს მას ამ საქმის ჩამდენებმა, რაც ცალმხრივად დარღვევაა, თუმცა აქვე დავძენ, რომ ეს იყო ლეგენდა ონიანის მიმართ ნათქვამი და ის ტყვია-წამალი განზრახ იქნა ჩადებული, რათა მოგვიანებით მომხდარიყო ონიანის კომპრომეტირება, ვინაიდან ყველა ის პირი რომლის სახელ-გვარიც ხსენდება ამ აუდიო ფაილში, ტყვიების ჩადების ეპიზოდში არიან და იყვნენ ბაზის მეთაურის, ავთანდილ ჯიქიას, ყურმოჭრილი მონები და კონსპირანტები, რომლებიც ასრულებდნენ პირადად მის დავალებებს, მათ შორის, არაკანონიერსაც. თუმცა სხვა დეტალებზე ამჟამად არ ვისაუბრებ. აქვე დავსძენ რომ ტყვიების ფარული ჩადება ეს არ იყო პირველი შემთხვევა ამ ნაწილში, რადგან ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა ამავე ნაწილის სამედიცინო სამსახურის პერსონალთან. მისი გვარი არ მახსოვს. ზედმეტ სახელად „კლანჭა“, რომელსაც სამართლებრივი დაპირისპირებები ჰქონდა ნაწილის მეთაურ ავთანდილ ჯიქიასთან სიტყვიერ დონეზე, აღნიშნული პიროვნების ზურგჩანთაშიც იპოვეს იარაღი საბრძოლო ვაზნები რამოდენიმე მჭიდთან ერთად. როგორც მე ვიცი ამ ფაქტზე ნაწილის შტაბის უფროსმა მაიორმა ჯამბულ ცეცხლაძემ გამოიძახა სამხედრო პოლიციის ეკიპაჟი. ამ ტყვიების უკანონო ჩადება ჩემი ინფორმაციით მოახდინა პოლკოვნიკ ჯიქიას მძღოლმა კილაძემ. არავინ არ იცის რა შედეგით დამთავრდა ეს კომპრომტაციის მცდელობა, ვინაიდან ფაქტზე არავინ არ დასჯილა, არც იმის შესახებ მაქვს ინფორმაცია დაფიქსირდა თუ არა აღნიშნული ფაქტი.“

შეიძლება ოფიცრის დევნის საბაბი ან მიზეზი გახდეს სწორი და ანალიტიკური აზროვნება თუ მიდგომა?! – ჩემს მიმართ დევნა-შევიწროება დაიწყო იმის შემდეგ, რაც მე ხმამაღლა განვიხილე 2008 წლის ომის მოვლენები სამხედრო ტაქტიკური ანალიზის დონეზე (საკითხი ეხებოდა „ბუკმ 1“ კომპლექსის ცალკეული შენაერთი სისტემების „სოუს“ „პზუს“ „პბუს“და „სოცის“ სენაკის ბაზიდან მოწინააღმდეგის ხელში ჩაგდების დეტალებს, ასევე მე გავაკრიტიკე იმდროინდელი მეთაური შენგელია ამ სისტემების თვით გადაადგილებადი რესურსის გამოყენებაში (კომპლექსის მარშის გამოცხინვალის მისადგომებამდე) რაც კატეგორიულად იყო დაუშვებელი ტექნიკის მოძველებული მგდომარეობის და მისი ტაქტიკური მონაცემების გათვალისწინებით (სისტემა უნდა გადაადგილებულიყო სპეცმზიდი მანქანების „ურაგანების“ მეშვეობით, რაც არ მოხდა. სარაკეტო კომპლექსის მარშმა კი გამოიწვია ლამპური სიტემების ვიბრაცია მგზავრობის დროს და მათი დაზიანება, ანუ ჩაშლა, რის გამოც ერთერთმა გამშვებმა დანადგარმა „სოუმ“ მიზნის აყვანის შემდეგ გასროლა ვერ მოახდინა. მართვის პუნქტი „პბუ“ კი გვირაბთან რიკოთის უღელტეხილზე გაჩერდა). ასევე საუბარში კრიტიკული ანალიზი გავუკეთე დაბა კოპიტნარში დაბომბვის დროს რლდ ბატარეის მეთაურის მაიორ ზაალ მაჩიტიძის ქმედებას, რასაც მოჰყვა მსხვერპლი,–ამბობს ლეიტენანტი.

საგულისხმოა ოფცრის მიერ ნათქვამი შემდეგი სიტყვები: „პირველი სიგნალები ჩემს შესავიწროებლად გაისმა მაშინ, როდესაც მე უარი ვთქვი ომის დროს დაკარგულ მოპარული საწვავის რლდ ბატარეიდან ჩამოწერის გამო, რაც ხდებოდა მახინჯი მეთოდით. აგრეთვე უარი ვთქვი მათზე, ანუ ჯიქიაზე და მაჩიტიძეზე, გამეცა არალეგალურად საბრძოლო სადგურის საწვავ ავზში მოთავსებული დიზელის საწვავი. ადგილი ჰქონადა ჩემს დაბარებებს ჯიქიას, მაჩიტიძის, ცეცხლაძის, გაბუნიას მხრიდან. მაჩიტიძე მოითხოვდა, გადავსულიყავი მისი ბატარეიდან რადგანაც მისი თქმით თურმე მე მის კაცს რომელიც იმყოფებოდა ქალაქ ფოთში წავართვი ადგილი.“

„ახალ თაობასთან“ მიცემული ინტერვიუს შემდეგ, როგორც ნემსაძე ამბობს, ... უცნაურია „გია დგებუაძის მოადგილის ლევან გაბუნიას საქციელი, რომელიც დაემთხვა ჩემს საგაზეთო ინტერვიუს, რაც გამოიხატა მისი მხრიდან მუქარის ჟესტიკულაციებში (კერძოდ თითის დაქნევით)“. საინტერესოა, თითის დაქნევაღა დარჩა ძალოვანს თავისი ოპონენტის საწინააღმდეგოდ?!

ნაკლებად უნდა გაუკვირდეს ყველას, თუ ამას იტყვის სამართლის და სიმართლის მაძიებელი ახალგაზრდა ოფიცერი: „ამ ქვეყანაში თუ „გენერალ“ კალანდაძეს აქვს რეაბილიტაციის და გამართლების უფლება, რა დავაშავეთ უბრალო ადამიანებმა მისგან განსხვავებით, 30000 ლარს კი არა, 30 კაპიკს ვერ წარვადგენ ვერსად. სოციალურად დაუცველ ადამიანს უკანასკნელი კაპიკები ჯიბიდან ამომიღეს, საბუთები შემაგროვებინეს, გორის სამედიცინო ჰოსპიტალი გამატარეს, და ისევ უკიდეგანო უსამართლობა და ხანგრძლივი დუმილის პროცესი გრძელდება თავდაცვის სამინისტროს მხრიდან. არადა, ჩვენ ყველამ ვიბრძოლეთ ასეთი მანკიერი დამოკიდებულებების წინააღმდეგ შედეგად კი მივიღეთ რა? გენერალური შტაბის უფროსი, რომელიც მესაუბრება ტერმინებით, თითქო მე მას „ვაბოლებ“! გამოვთქვამ გულისტკივილს, რომ დღეს საქართველოში უმაღლეს სამხედრო სტატუსში მყოფი სამხედრო, რომელიც ასეთი ქუჩური ტერმინებით მეტყველებს, ვერაფერ ღირებულს ვერ შექმნის ვერც მისი შეიარაღებული ძალებისთვის და ვერც ქართული საზოგადოებისთვის. არ მიკვირს მისი მხრიდან ჩემი დაბლოკვა, ვინაიდან 2011 წელს მან პირადად მოაწერა ხელი ჩემი შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის სამარცხვინო სამანდატო კომისის ოქმს!“

იმედია, რომ ამ მასალის გამოქვეყნების შემდეგ თავდაცვის სამინისტროში ბევრად უფრო ყურადღებით მოეპყრობიან ამ და სხვა მტკივნეულ საკითხებს. სამინისტროს გენერალურ ინსპექციისათვის ეს არა მარტო სამართლიანობის, არამედ ღირსების საკითხიც უნდა გახდეს. ფაქტების ინსპექტირება, წესით, არ უნდა გაჭირდეს. თუ მატყუარა და დამნაშავეა ლეიტენანტი ნემსაძე, დაისაჯოს. ან დასაჯონ თავდაცვის სამინისტროს ის წარმომადგენლები, რომლებსაც გირაოთი თუ არ გააოთავისუფლებს სასამართლო, პრეზიდენტი მაინც გამოიჩენს იმ სამართალს, რომელიც „შეიქმს ხესა ხმელსა ნედლად!“

პ.ს. სტატია დაწერილი მქონდა, როცა დავით ნემსაძის ერთი „ოინის“ შესახებ საიმედო წყაროს მომაწოდა ინფორმაცია. ნემსაძემ მოპარულ და გასაყიდად გამზადებულ დიზელის საწვავის კასრებში ტექნიკური ზეთი შეურია და ისე გაყიდეს. იმ დღეს 5 მარშუტკა „დასტუკდაო“.

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

თამარ ბიწაძე: „მაგთიკომში“ სტაჟირება ძალიან საინტერესო იყო“

მომავლის სწორად ხედვის მქონე კომპანიისთვის ასეთი საქმიანობა ბუნებრივია — კვალიფიციური კადრის ფასი მაგთიკომში ზუსტად ესმით

საქართველოში განხორციელებული კორპორატიული და სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებიდან მაგთიკომისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლობა განსაკუთრებულად არის აღსანიშნავი, რადგან მათ მიერ განხორციელებული პროექტის შედეგად კმაყოფილია არა მხოლოდ უნივერსიტეტი, არამედ მოგებულია კომპანიაც და მთლიანად საზოგადოებაც.

თანხობრივად ყველაზე მაღალი სტიპენდია საუკეთესო მოტივაციაა მაღალ ქულებზე სწავლისთვის, ამასთან, სტაჟირების გავლა და წარმატებულ კომპანიაში დასაქმების კარგი შანსი კი უკვე სრულყოფილად გაკეთებული საქმეა. ეს უკვე კარგად შეკრული ჯაჭვია — ყველა აუცილებელი რგოლით.

მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ წლების წინ დაიწყო – მაგთი უნივერსიტეტს კომპიუტერებით დაეხმარა. ცოტა მოგვიანებით წარჩინებულ სტუდენტებს მაგთიკომის სტიპენდია დაენიშნათ და დამატებით მიეცათ შანსი, რომ კომპანიაში სტაჟირება გაიარონ. პროფილიდან გამომდინარე, მაგთიკომში ტექნიკური უნივერსიტეტის გამოზრდილი სპეციელისტები წარმატებულად მუშაობენ. მათი რიცხვი სულ ცოტა ხნის წინ, კიდევ 15-ით გაიზარდა. აი ახლა კი 10 სტუდენტმა სრულფასოვანი სტაჟირების გავლა შეძლო.

ნინო სურგულაძე, „მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტაჟირება კიდევ ერთი პროექტია, რომელსაც „მაგთიკომი“ სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობის ფარგლებში ახროციელებს „მაგთიკომის“ სტიპენდიისა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამის პარალელურად, რაც საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება სტუდენტების პროფესიულ ზრდაზე. ივლისში ოპერირების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტებში ათმა სტუდენტმა გაიარა სტაჟირება. „მაგთიკომის“ თანამშრომლებმა მათ გააცნეს სამუშაო პროცესები, საქმეში აქტიურად ჩართეს და გამოცდილება გაუზიარეს.

სტაჟიორთა ნაწილი სტიპენდიანტია, ნაწილი კი თავად ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატმა შეარჩია იმის მიხედვით, თუ რომელ დეპარტამენტში იგზავნებოდა.

სტუდენტებს პრაქტიკა ადრეც გაუვლიათ, თუმცა ახლა უკვე ამას პროექტის სახე აქვს მიღებული, სისტემური გახდა და მომავალშიც გაგრძელდება „მაგთიკომის“ სტიპენდიასთან ერთად.

როცა ვაკანტური პოზიციები გვაქვს, ტექნიკური უნივერსიტეტისგან საუკეთესო კურსდამთავრებულების ბაზას ვითხოვთ და მაგალითად, რამდენიმე თვის წინ, 15 კადრი ავიყვანეთ და ეს ხდება ძალიან ხშირად.

სანდრო მაისურაძე, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტი:

– საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და „მაგთიკომის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში გავიარეთ პრაქტიკა. ჩვენი ფაკულტეტიდან 5 სტუდენტი მოგვიყვანეს. სტიპენდიანტიც ვარ. ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება მივიღეთ, პრაქტიკული შეხება გვქონდა, საკუთარი ხელით ვაკეთებდით ბევრ რაღაცას და იმედი მაქვს, კიდევ გაგრძელდება ასეთი პრაქტიკები. ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ „მაგთიკომში“ ვიმუშაო, ყველანაირად კმაყოფილი ვარ.

ნიკა ადეიშვილი, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტი:

– გავეცანით მუშაობის სტილს, ძალიან დიდი პრაქტიკა მივიღეთ. ძირითადად, უნივერსიტეტში თეორიულ ცოდნას ვღებულობთ და პრაქტიკა ყველა პროფესიაში აუცილებელია. ტექნოლოგიებით და ტექნიკური აღჭურვილობით „მაგთიკომი“ ნამდვილად ლიდერია. კომპანია იყენებს ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც ნებისმიერ მოწინავე ქვეყანაშია გამოყენებული. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც „მაგთიკომს“ ლიდერს ხდის და ასეთ ტექნოლოგიებთან უშუალო კავშირი სტუდენტებისთვის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ალბათ, ნებისმიერი ადამიანი იოცნებებდა, რომ „მაგთიკომში“ ემუშავა, მეც მათ შორის ვარ და იმედი მაქვს, ასეც იქნება.

თამარ ბიწაძე, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტი:

– ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატმა საუკეთესო ქულების მქონე სტუდენტების სია შეადგინეს და ერთ-ერთი აღმოვჩნდი მეც, რაც ძალიან გამიხარდა. პირადად ჩემთვის „მაგთიკომში“ სტაჟირება ძალიან საინტერესო იყო. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ის თეორიული ცოდნა, რაც უნივერსიტეტში მივიღე, პრაქტიკაში გამოვცადე. ყველაფრით ძალიან კმაყოფილი ვარ, თანაც, პირველი პრაქტიკა იყო და იმედი მაქვს, კომპანიასთან თანამშრომლობის საშუალება მომავალშიც მომეცემა.

ოთარ ზუმბურიძე, ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი:

– მინდა მივულოცო ახალგაზრდებს, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სტაჟირების პერიოდი ლიდერ კომპანიაში. ამავე დროს, მინდა მადლობა გადავუხადო „მაგთიკომს“ იმისთვის, რომ მისცა საშუალება ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, აიმაღლონ თავიანთი პროფესიული დონე.

განათლების სისტემა შეუძლებელია არსებობდეს სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობის გარეშე. „მაგთიკომმა“ შეძლო ეს ჯერ-ჯერობით ერთადაერთმა კომპანიამ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და მათ მისცა საშუალება, გაიარონ პრაქტიკა. ამავე დროს, სტუდენტებს კომპანიამ დაუნიშნა სტიპენდია, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თავად სტიპენდიანტებისთვის, არამედ დანარჩენი სტუდენტებისთვისაც, რათა მათაც ხვდეთ წილად ასეთი პატივი. ის ფაქტი, რომ სტიპენდიის მისაღებმა ქულამ მოიმატა, პირდაპირ მეტყველებს, რომ სტიმული მეტად კარგ როლს ასრულებს.

ანა ვაჩნაძე

გურამ ოდიშარია სვანეთში ჩავიდა

ეკა ირემაშვილი

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმს საქართველოს კულტურისა და ძეglთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი და მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი ეწვივნენ. სტუმრებს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ უმასპინძლა.

კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ სვანეთის მუზეუმის ყოფილ დირექტორს, ციალა ჩართოლანს მუზეუმში გაწეული სამეცნიერო საქმიანობისა და მუზეუმის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის საპატიო სიგელით დააჯილდოვა და 80 წლის იუბილე მიულოცა. ღონისძიების დასასრულს, დაიგეგმა საზეიმო კონცერტი და ფოიერვერკი.

– სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ისტორია თითქმის საუკუნეს ითვლის. მუზეუმის რეაბილიტაციის დასრულების შემდგომ მოეწყო საგამოფენო დარბაზები და აღიჭურვა თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. შეიქმნა სარესტავრაციო ლაბორატორია და საცავები. რეაბილიტირებულ მუზეუმში მუდმივი ექსპოზიციის ექვსი დარბაზია. ისტორიაში მოგზაურობა სვანეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით იწყება, ასევე, განთავსებულია ნუმიზმატიკური კაბინეტი. მუზეუმში დაცულია ქრისტიანული საგანძურიც, გამოფენილია IX-XVIII საუკუნეებში შექმნილი მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი შედევრები როგორიცაა, ორმოცი სებასტიელი მოწამის ხატი, ბიზანტიური ნაქარგი ხატი, ვენეციური ჯვარი, თამარ მეფის მიერ შენირული სურა, მოხატული ხელნაწერის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ნიმუში ადიშის ოთხთავი, რომელიც 897 წლით თარიღდება და სხვა უნიკალური საგანძური. ასევე გამოფენილია მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა, – აცხადებენ კულტურის სამინისტროში.

მათივე ინფორმაციით, მუზეუმის სარეაბილიტაციო კომპლექსური სამუშაოები საქართველოს მთავრობისა და სხვადასხვა საერთაშორისო ფონდის და ორგანიზაციის მხარდაჭერით მიმდინარეობდა, მათ შორისაა, საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია, ევროკავშირის ტვინინგის პროგრამა, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი/ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანება, სმიტსონის ინსტიტუცია, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდი, საქართველოში იტალიისა და შვეიცარიის საელჩოები.

სვანეთის განახლებულ მუზეუმს გახსნიდან ერთი თვის განმავლობაში 7524 დამთვალიერებელი ესტუმრა. მუზეუმი პირველი ივლისიდან პირველ აგვისტომდე ყველა ვიზიტორს უფასოდ მასპინძლობდა.

სვანეთამდე გურამ ოდიშარია საუშაო ვიზიტით ცაგერისა და ლენტეხის რეგიონებში ჩავიდა. მას თან ახლდნენ მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი და მინისტრის მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი. ვიზიტის ფარგლებში სამინისტროს დელეგაცია ესტუმრა ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს, მოინახულა „ლაშარის“ ციხე, ასევე, დაათვალიერა ლადო ასათიანის სახლ-მუზეუმი სოფელ ბარდნალაში. ვიზიტის დასასრულს დაიგეგმა შეხვედრა გამგეობის შენობის დარბაზში ცაგერსა და ლენტეხში კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წევრებთან. ლენტეხის რეგიონში კულტურის სამინისტროს დელეგაციამ მოინახულა ლ. მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, აიპ ლენტეხის შემოქმედებითი კულტურის ცენტრი და ოლიმპირის მომზადების ცენტრის სხდომათა დარბაზში კულტურის მუშაკებთან შეხვედრა გამართა.

გურამ ოდიშარია კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად წალენჯიხასა და ჩხოროწყუსაც ეწვივნენ. მინისტრმა და მისმა მოადგილეებმა დაათვალიერეს ისტორიული და ეთნოგრაფიული მუზეუმები, ესტუმრნენ ტერენტი გრანელის სახელობის სახლ-მუზეუმსა და ჩხოროწყუს კულტურის სახლს, ასევე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე და ჩხოროწყუს კულტურის სახლი.

გურამ ოდიშარიას თქმით, უნდა განხორციელდეს რამდენიმე კულტურული პროექტი, რათა ახალგაზრდებში მოხდეს კულტურის პოპულარიზაცია. ასევე იგეგმება საზაფხულო თეატრის მშენებლობა, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ მოწვეულ სტუმრებსაც უმასპინძლონ. დღის ბოლოს დაიგეგმა შეხვედრა წალენჯიხისა და ჩხოროწყუს კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან.

კულტურის სამინისტროს დელეგაცია დაესწრო სოფელ ომალოში გამართულ სახალხო დღესასწაულს „თუშეთობა“, სადაც ჩავიდა კულტურისა და ძეglთა დაცვის მინისტრის მრჩეველი ქარუმ წერეთელი, რეგიონალური სამმართველოს მთავარი სპეციალისტი არჩილ ჭოტაშვილი.

– დღესასწაული თუში ხალხის უძველეს პროფესიას – მეცხვარეობას უკავშირდება და გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, ივლისის ან აგვისტოს თვეში, ყოველწლიურად აღინიშნება, – განაცხადა რეგიონალური სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა არჩილ ჭოტაშვილმა.

ფესტივალი „თუშეთობა 2013“ კეს ელოს ციხესთან და ვიზიტორთა ცენტრში გაიმართა. კულტურის სამინისტროს დელეგაციაი სხვა მოწვეულ სტუმრებთან და ახმეტის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად თუშებს დღესასწაულტ მიულოცა, გამოცდილტ და ახალგაზრდა მწყემსები კი საჩუქრებით დააჯილდოვა. გაიმართა შეჯიბრი მშვილდოსნობაში და დოღში, გამარჯვებულებს საჩუქრები და პრიზები გადაეცათ.



ფესტივალის ფარგლებში, დაიგეგმა თუშური სამზარეულოს და ტრადიციული კერძების დეგუსტაცია. ფაცხებში სტუმრებს საშუალება მიეცათ ენახათ და მონაწილეობა მიეღოთ ტრადიციულ თუშურ ღონისძიებებში. მოწვეულმა სტუმრებმა თუშურ ლუდი, ხინკალი, მწვადი, გუდის ყველი და კახურ შოთები დააგემოვნეს. ფაცხებთან და სცენასთან გამოფენილი იყო ხალხური რეწვის ნიმუშები და ტრადიციული ყოფა-ცხოვრების ამსახველი ძველებური ნივთები. მოეწყო თუშეთის კუთხის ამსახველი ძველებური საყოფაცხოვრებო ნივთების გამოფენა-გაყიდვაც. პარალელურ რეჟიმში, ხალხური რეწვის ოსტატები მსურველებს აჩვენებდნენ ქსოვის, ჩეჩვის, მატყლის დართვის, თექის დამზადების და თიხის მოხატვის პროცესს.

სახალხო დღესასწაულის ბოლოს ფესტივალი დაასრულა კონცერტმა კოცონთან, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მიწვეულმა და ადგილობრივმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „კესელო“, „ცხრაკარა“, „ბახტრიონი“ და „თუშეთი“ და ინდივიდუალურმა მომღერლებმა.

– ამ ფესტივალის მიზანი თუშეთის მთიანი მხარისა და დაცული ტერიტორიების პოპულარობის გაზრდა, რეგიონში ეკო-ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს გაჩენაა, – განმარტა კულტურისა და ძეglთა დაცვის მინისტრის მრჩეველმა ქარუმ წერეთელმა.

ფესტივალის „თუშეთობა 2013“ ორგანიზატორობა ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ითავა, მხარდაჭერა კი – თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ.

გურამ ოდიშარია დუშეთშიც იმყოფებოდა, სადაც დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანიზებით გაიმართა საქართველოს მცირე და საშუალო ზომის ისტორიული ქალაქების საკოორდინაციო შეხვედრა და თანამშრომლობის დეკლარაციის პროექტის ხელმოწერა.

შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, რეგიონული თვითმმართველობის წარმომადგენლები, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე და სააგენტოს თანამშრომლები.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა, საქართველოს ისტორიულ ქალაქებში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ინტენსიური ჩარევების ფონზე, ურბანული მემკვიდრეობის მართვის ჯანსაღი, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის ერთობლივი ჩამოყალიბება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, შეუქცევადი შეცდომებისა და მემკვიდრეობის რესურსების ხელყოფა-განადგურების აცილების მიზნით.

– დუშეთი ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მხარდაჭერით ურბანული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელებული პროექტის მონაწილე საპილოტე ქალაქია და მხარდამჭერია საქართველოს ისტორიული ქალაქების ქსელის ჩამოყალიბების, – განაცხადა კულტურის მინისტრმა.

მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე მარგიშვილმა თელავი მოინახულა. დაიგეგმა თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სკვერის დათვალიერება სამომავლო სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაწყებად. მინისტრის მოადგილესთან ერთად თეატრი დაათვალიერეს თელავის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა გელა სამხარაულმა, საკრებულოს თავმჯდომარემ დიმიტრი ბოჭორიძემ, თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ნაპირელმა და კულტურისა და განათლების სამსახურის უფროსმა ფიქრია ყუშიტაშვილმა.

კულტურის სამინისტროს აგრძელებს კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვას. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსპექციის და ნებართვების და მიმდინარე სამუშაოების სამსახურის წარმომადგენლები მუცოს უნიკალური შუასაუკუნოვანი კომპლექსის მოსანახულებლად გაემგზავრნენ, სადაც ადგილზე დეტალურად შეაფასეს ძეglის მდგომარეობას. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში კომპლექსს ასევე ეწვევა საქართველოს კულტურისა და ძეglთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია და ადგილზე გაეცნობა პრობლემებს. ციხე-სოფელი მუცო არის რთული კომპლექსური ძეglი და საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას, იმისათვის, რომ სარეაბილიტაციო პროცესი განხორციელდეს თანმიმდევრულად. მომავალი წლიდან დაიწყება ამ უნიკალური ძეglის რეაბილიტაციისთვის აუცილებელი ღონისძიებების თანმიმდევრული განხორციელება.

საქართველოს კულტურისა და ძეglთა დაცვის სამინისტროს დელეგაცია მინისტრის გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით ოფიციალური ვიზიტით ესტონეთში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში მინისტრმა და მინისტრის პირ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრშია

ეკა ირემაშვილი

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის – იუნესკოს მსოფლიო საერთაშორისო რეესტრის კომიტეტმა ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრში შეიტანა.

ამასთან დაკავშირებით ეროვნული არქივის საგამოფენო დარბაზში იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა ბრიფინგი გამართეს და ვახუშტის რუკების გამოფენა გახსნეს.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალური მდივანი ქეთევან კანდელაკი, ისტორიკოსები, გეოგრაფები, კარტოგრაფები და სხვა დაინტერესებული პირები.

– მინდა საზოგადოებას, მეცნიერებს, ისტორიკოსებს, კარტოგრაფებს მივულოცო ის ფაქტი, რომ ჩვენი ეროვნული მემკვიდრეობა ოფიციალურად გახდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილი. იუნესკომ აღიარა, რომ ჩვენ გვაქვს ძველი გეოგრაფიული და კატროგრაფიული განძი და ის დღესაც წარმოადგენს საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიის ისტორიის, გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის უმნიშვნელოვანეს წყაროს. ჩვენ ეროვნულ არქივში ვიღებთ ვალდებულებას, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „გეოგრაფიულ ატლასს“ და „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ მოვუვლით და დავიცავთ ისე, რომ არასოდეს დადგეს ეჭვქვეშ მისი საერთაშორისო რეესტრში ყოფნის საკითხი“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

როგორც ეროვნული არქივის ხელმძღვანელმა თეონა იაშვილმა აღნიშნა:

– ეროვნულმა არქივმა იუნესკოში მსოფლიო მემკვდრეობის საერთაშორისო რეესტრში შესატანად ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომები 2012 წელს წარადგინა. იუნესკოს მსოფლიო საერთაშორისო რეესტრის კომიტეტმა იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ დაეკმაყოფილებინა ეროვნული არქივის განაცხადი და „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ საერთაშორისო რეესტრში შეიტანა. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ ვახუშტი ბაგრატიონის ავტოგრაფებია, რომლებიც 1743-1755 წლებში შეიქმნა. როგორც ირკვევა, თავდაპირველად რუკები და ბაგრატიონთა გენეალოგიური სქემები ხელნაწერის შემადგენელი ნაწილი იყო და თითოეული რეგიონის აღწერას ერთვოდა შესაბამისი რუკა. სავარაუდოდ, XIX საუკუნეში რუკები და გენეალოგიური სქემები ხელნაწერისაგან განცალკევდა. ვახუშტი ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ სანკტ-პეტერბურგის აზიურმა მუზეუმმა შეიძინა. 1925 წელს ბატონიშვილის ავტოგრაფები სანკტ-პეტერბურგის სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკიდან საქართველოს გადმოეცა და ამჟამად ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივშია დაცული. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ საქართველოს ისტორიული ტერიტორიის პირველ სრულყოფილ გეოგრაფიულ აღწერას გვაძლევს. აქ მოცემულია საქართველოს ისტორია უძველესი პერიოდიდან XVIII საუკუნის 40-იან წლებამდე და მასში შესულია საქართველოს ცალკეული სამეფოებისა და სამთავროების ისტორია და მათი გეოგრაფიული აღწერილობა. რუკებმა განსაკუთრებული როლი ითამაშა კავკასიისა და საქართველოს ტერიტორიის გეოგრაფიულ და კარტოგრაფიულ აღწერაში და დღემდე რჩება კავკასიის რეგიონის გეოგრაფიის შესწავლის საფუძვლად.

ეროვნულ არქივში ვახუშტის რუკების გამოფენა 10 აგვისტომდე გაგრძელდება და მისი დათვალიერება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეუძლია.

ეროვნულ არქივს კინოდოკუმენტალისტმა გია ჭუბაბ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

განცხადებები

● ოსტეოქონდროზის, დაქვეითებული სმენის – ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, რადიკულიტის, ჭრილობების და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების, აპარატურისა და ქირურგიული ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. მისამართის შესახებ დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 599-95-85-46 ბ-ნი ლევანი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო განმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით კვურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეხზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

იოჰან კრუიფი: „ნეიმარის ბარსაში გადმოყვანას ვერ გავრისკავდი“

ცოტაც და ევროპის ბობოლა საფეხბურთო სამყარო ახალ სეზონს დაიწყებს. ბობოლას როდესაც ვამბობთ, აქ ის დიდი ხუთეული იგულისხმება, რომლებიც მთელი თავით მაღლა დგანან დანარჩენებზე – ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი.

ცხადია, ახალ სეზონშიც ყველაზე საინტერესო დუელს ესპანეთში ელიან, სადაც მარადიული კითხვა დგას – „რეალი“ თუ „ბარსელონა“.

ახალი სეზონის წინ ესპანელი ჟურნალისტები მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდას იოჰან კრუიფს გაესაუბრნენ, რომელიც თითქმის ყველა იმ თემას შეეხო, რომელიც დიდ ხუთეულს შეეხება.

–„ბარსელონამ“ ნეიმარი შეიძინა. ადრე აღნიშნეთ, რომ ბრაზილიელს ლეო მესისთან ერთად თამაში გაუჭირდება. სადღეისოდაც იგივე პოზიციაზე რჩებით?

– ჟურნალისტები ხშირად იმას წერთ, რაც არ მითქვამს, მაგრამ თქვენ ფიქრობთ. თქვენი კოლეგები დარწმუნებულები არიან, რომ სანდრო როსელის წინააღმდეგ ვმოქმედებ, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ ეს ასე არ არის. უბრალოდ, მე საკუთარი აზრი მაქვს და რადგანაც რომელიმე ფაქტზე ჩემი პოზიცია გამაჩნია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგი ვარ. ნეიმარს რაც შეეხება, მოთმინებით უნდა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. ბრაზილიელს მაღალი კლასის ფეხბურთელისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება რომ აქვს, ფაქტია, მაგრამ მთავარია, როგორ მოერგება იგი „ბარსელონას“ სათამაშო სტილს. მხოლოდ ეს ვთქვი და ჩემ თვალსაზრისს ისეთი კუდი გამოაბეს, თითქოს ნეიმარის „კამპ ნოუზე“ მოსვლის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. თუმცა, გარკვეულ სიფრთხილეს ვიჩენ.

–კარგად გვახსოვს კონფლიქტური სიტუაციები, რომლებიც გუნდში ზლატან იბრაჰიმოვიჩის, სამუელ ეტოოს, დავიდ ვილიას, ბოიან კრკიჩის ირგვლივ შეიქმნა. საბოლოოდ ეს ფეხბურთელები იძულებულები გახდნენ, „ბარსელონა“ დაეტოვებინათ. ნეიმარის მოსვლის შემდეგ მსგავსი ამბავის გამეორების საშიშროების წინაშე ხომ არ დადგება გუნდი?

–საქმე ისაა, რომ ლეო მესი დიქტატორია. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ნებისმიერ სფეროში მოღვაწე მსოფლიოში საუკეთესო ადამიანი გარკვეულწილად დიქტატორია. მესი უდიდეს წნეხს განიცდის –მისგან ყოველ უიკენდზე სასწაულს ელიან და ითხოვენ. ამის განსახორციელებლად ლეოს გარკვეული პირობები ესაჭიროება. მთავარი ისაა, რომ მესის პარტნიორები რიგ სათამაშო ეპიზოდებში მის ნება-სურვილს უნდა დაჰყვნენ. ეს ლოგიკურიცაა, რადგან მესი სხვა ფეხბურთელებთან შედარებით უფრო მაღალი კლასის მოთამაშეა. ასეთებს კი განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებათ მატჩის დროსაც და მინდორს გარეთაც.

– გამოდის, მესისა და ნეიმარის ერთდროულად მინდორზე ყოფნა რისკთანაა დაკავშირებული.

– დიახ, ასეა. მესისთან ნეიმარის ტანდემი წარმატებული ან იქნება, ან არა. შანსი 50-50-ზეა. „ბარსელონამ“ ნეიმარის ტრანსფერით გარისკა.

– თქვენ გარისკავდით?

– მე ნეიმარის „კამპ ნოუზე“ მიყვანით არ გავრისკავდი.

–მადრიდის „რეალი“ გარეტ ბეილის ტრანსფერზე ფიქრს არ ეშვება. უელსელი ფეხბურთელი კასტილიელთათვის კარგი შენაძენი იქნებოდა?

– ბეილი ძალიან მომწონს. მართალია, ბრიტანული ფეხბურთი ესპანელისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება, მაგრამ ბევრი დადებითი თვისება აქვთ.

–ამბობენ, ბეილის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მიყვანა კრისტიანუ რონალდუს პოზიციებს შეასუსტებსო. ეთანხმებით ამგვარ თვალსაზრისს?

– საფეხბურთო მინდორი იმდენად დიდია, რომ რონალდუსა და ბეილის მატჩის დროს ადგილი და ფუნქცია გამოეძებნებათ. დანარჩენი უშუალოდ მწვრთნელის გადასაწყვეტია.

–კარლო ანჩელოტის მთავარმწვრთნელად დანიშვნა „რეალისთვის“ დადებით მომენტად მიგაჩნიათ?

–მადრიდელებს ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავთ, უბრალოდ, მათ ერთ კოლექტივად შეკვრაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, ანჩელოტი ამას მოახერხებს. იტალიელს შთამბეჭდავი საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერა ჰქონდა, ამასთან მშვენივრად იცის გუნდის მართვა.

–„მანჩესტერ იუნაიტედს“ ალექს ფერგიუსონის გარეშე რა ბედი ელის?

– არ მგონია, მანჩესტერელებს კრიზისული პერიოდი დაუდგეთ. ფერგიუსონი საკუთარ გადაწყვეტილებებში ყოველთვის თანმიმდევრული იყო და დარწმუნებული ვარ „იუნაიტედს“ „ზევიდან“ უხელმძღვანელებს. „მანჩესტერ იუნაიტედი“ კარგად ორგანიზებული კლუბია.

– მიუნხენის „ბაიერნი“ პეპ გვარდიოლასთან ერთად თავისი ისტორიის ახალ ეტაპს იწყებს?

– პეპი დიდი ფეხბურთელი იყო და ასეთივე მწვრთნელად ჩამოყალიბდა. ეჭვიც არ მეპარება, რომ „ბაიერნს“ კარგად მოერგება და მიუნხენურ გრანდს დიდ სარგებლობასაც მოუტანს. მეტად მნიშვნელოვანია, რომ „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა წარსულის ისეთი ვარსკვლავებისგან შედგება, როგორებიც კარლ ჰაინც რუმენიგე, ული ჰაინესი, ფრანც ბეკენბაუერი, მათიას ზამერი არიან. მათ მშვენივრად იციან კლუბის და გუნდის მართვა, არ იბნევიან, როდესაც 100.000 მაყურებელი ერთდროულად ტაშს გიკრავს ან გისტვენს. ასეთ ადამიანებთან მხარდამხარ მუშაობა განუზომლად სასარგებლოა და წარმატების მოტანის დიდ შანსს გაძლევს. ეს ერთ-ერთი მიზეზიცაა, რის გამოც პეპმა არჩევანი „ბაიერნზე“ გააკეთა.

– „ბარსელონა“ გვარდიოლას კორექტულად დაემშვიდობა?

– ამ საკითხში ყველას თავისი აზრი აქვს. პირადად მე არ მომეწონა კლუბის მიერ პეპთან დაშორების არჩეული ფორმა. გვარდიოლა სხვაგვარ დამშვიდობებას იმსახურებდა. ჩვენ ხომ ფეხბურთელისა და მწვრთნელის რანგში „ბარსელონას“ მარგალიტთან გვქონდა საქმე.

– როგორ გგონიათ, ესპანეთი მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებს?

– ყველას მშვენივრად მოგეხსენებათ, ესოდენ მაღალ დონეზე დიდხანს შეყოვნება რაოდენ ძნელი ამბავია. ვისენტე დელ ბოსკეს მიერ გაწეულ სამუშაოს ფანტასტიკურს ვუწოდებდი. ეროვნული გუნდის ჩამოყალიბების და მართვის საქმეში მას კარგად აქვს გათვითცნობიერებული საკუთარი მისია. მიაქციეთ ყურადღება, „რეალისა“ და „ბარსელონას“ საკლუბო ქიშპობა „ფურია როხას“ თამაშისას ოდნავადაც არ იგრძნობა.

– საფეხბურთო მწვრთნელი უპირველესად მწვრთნელი უნდა იყოს თუ ფსიქოლოგი?

– სანაკრებო მწვრთნელმა სამუშაოს საორგანიზაციო მხარე უნდა გასწიოს და შედეგზე პასუხი აგოს. არაა საჭირო, დელ ბოსკემ ჩავის ფეხბურთის თამაში ასწავლოს, მისი ფუნქცია მოთამაშის გუნდის მექანიზმში სათანადოდ ჩასმაა.

საქართველომ და ყაზახეთმა შემადგენლობები დაასახელეს

14 აგვისტოს საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს ყაზახეთთან. მოახლოებული მატჩისთვის, ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ 23 ფეხბურთელს უხმო.

ქეცბაიას გუნდი 11 აგვისტოს, ასტანაში შეიკრიბება. ლეგიონერები პირდაპირ ყაზახეთში ჩავლენ. გუნდი თბილისურ შეკრებას არ გაივლის.

ნაკრებში გამოძახებულთა სია ასეთია:

მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო თბ), ნუკრი რევიშვილი (დილა), როინ კვასხვაძე (ზესტაფონი);

მცველები: უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (მორდოვია, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი, გია გრიგალავა (ორივე კრილია სოვეტოვი, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (ქაისერი, თურქეთი), დავით კვირკველია (დინამო თბ), გულვერდ თომაშვილი (დილა);

ნახევარმცველები: ჯაბა კანკავა, ალექსანდრე კობახიძე (ორივე დნიპრო, უკრაინა), ლაშა გვალია (დილა), დავით თარგამაძე, თორნიკე ოქრიაშვილი (ორივე ილიჩევეცი, უკრაინა), ელგუჯა გრიგალაშვილი (დინამო თბ), შოთა გრიგალაშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ჯანო ანანიძე (როსტოვი, რუსეთი);

თავდამსხმელები: ვლადიმერ დვალიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ნიკოლოზ გელაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ირაკლი სირბილაძე (ინტერი ფინეთი).

შემადგენლობა დაასახელა ყაზახეთის ეროვნული საფეხბურთო გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მიროსლავ ბარანეკმაც. მის განკარგულებაში მყოფი ფეხბურთელებიდან, მხოლოდ ერთია ლეგიონერი და ისიც გერმანიის მე-2 ბუნდესლიგიდან.

ბარანეკმა არჩევანი შემდეგ ფეხბურთელებზე შეაჩერა:

მეკარეები: ანტონ ცირინი (ჟეტისუ), ანდრეი სიდელნიკოვი (აქტობე), ალექსანდრ მოკინი (შახტიორი ყარაგანდა);

მცველები: ქაირათ ნურდაულეტოვი, ვიქტორ დმიტრენკო (ორივე ასტანა), მარკ გურმანი, ალექსანდრ კისლიცინი (ორივე ქაირათი), იური ლოგვინენკო, ალექსეი მულდაროვი (ორივე აქტობე), კონსტანტინ ენგელი (კოტბუსი, გერმანია), ზახარ კორობოვი (ჟეტისუ);

ნახევარმცველები: აზატ ნურგალიევი (ორდაბასი), მაქსატ ბაიჟანოვი (შახტიორი ყარაგანდა), ვალერი კორობკინი (ასტანა), დმიტრი შომკო (ირტიში), ანატოლი ბოგდანოვი, ნურბოლ ჟუმასკალიევი (ორივე ტობოლი), ჟამბილ კუკეევი, ოლეგ ნედაშკოვსკი (ორივე ქაირათი);

თავდამსხმელები: ალექსეი შჩეტკინი (ატირაუ), სერგეი გრიდინი (აქტობე), იგორ იურინი (ირტიში), სერგეი ხიჟნიჩენკო (შახტიორი ყარაგანდა).

როგორც უკვე ვთქვით, ყაზახეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრა 14 აგვისტოს, საღამოს 22 საათზე (თბილისის დროით), „ასტანა არენაზე“ გაიმართება.

მესი ნეიმარის ხელფასითაა აღშფოთებული

კატალონიური „ბარსელონას“ ლიდერმა ლეო მესიმ იცის, რომ თანაგუნდელი, ბრაზილიელი ნეიმარი კლუბში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. ამ თემასთან დაკავშირებით მესის მამა ხორხე სანდრო როსელის შეხვდა, რადგან სურს ეს „არეულობა“ დროზე შეჩერდეს.

შეხვედრის მთავარი მოთხოვნა კი ის იყო, რომ ახალ კონტრაქტში არგენტინელს ხელფასი უნდა გაუზარდონ, რათა მესი გუნდში ისევ ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად დარჩეს.

აღსანიშნავია, რომ ლეო კლუბთან ახალ ხელშეკრულებას ხელს თებერვალში აწერს, რომელიც 2018 წლამდეა გათვლილი. არაოფიციალურად კი ვრცელდება, რომ ფეხბურთელის ანაზღაურება წლიურად 12 მილიონი იქნება, არაფერი რომ ვთქვათ სხვადასხვა სახის ბონუსებზე.

მოურინიუმ ინგლისის ნაკრებს უარი უთხრა

ლონდონის „ჩელსის“ მწვრთვნელმა ჟოზე მოურინიუმ აღნიშნა, რომ ყველა ქვეყნის ჩემპიონატი განსხვავებულია და ამიტომ ძნელია სხვა კლუბების სათამაშო სტილი გამოიყენო.

ჟოზე მოურინიუ:

– მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ვთქვი, რომ ჩემს 2004-06 წლების „ჩელსის“ არ შეეძლო მოეგო სკუდეტო და ლა ლიგა, ჩემს „ინტერს“ კი პრემიერლიგა და ლა ლიგა, „რეალს“ – სკუდეტო და პრემიერლიგა. ასეთია საფეხბურთო კულტურა, კულტურა მოწინაარმდეგის. ნებისმიერ ჩემპიონატს განსხვავებული მახასიათებლები აქვთ. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რომელიმე სათამაშო სტილი გამოადგებათ ინგლისის ჩემპიონატში, ძალიან ცდებიან. წარმატებული კლუბი პრემიერლიგაში, ვერ შეძლებს ესპანეთის ჩემპიონატშიც ისეთივე წარმატებული იყოს. ეს ასე არ არის. ყველას აქვს თავის იდეები, მაგრამ ყველა საფეხბურთო ჩემპიონატს ერთი, ლიმიტირებული, სათამაშო სტილი აქვს.

განსაკუთრებულმა ისიც განაცხადა, რომ 2007 წელს ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელობას სთავაზობდნენ, მაგრამ კლუბში მუშაობა არჩია.

– ინგლისის ნაკრების მწვრთნელობას რომ დავთანხმებოდი, რა უნდა მეკეთებინა? თავისუფალ დღეებში ფეხბურთელების საკლუბო ვარჯიშებს დავესწრებოდი. მეკარეების მწვრთნელი ჩემგან განცალკევებით იმუშავებდა. შაბათ-კვირას სხვადასხვა მატჩების ყურებით დავკავდებოდი. კარგი ბინა დამჭირდებოდა, რათა მოვკალათებულიყავი და თითოეული მატჩის ანალიზი გამეკეთებინა. როდესაც ნაკრების გაწვრთნა შემომთავაზეს, ინგლისელები ფრანგებს პარიზში ხვდებოდნენ. ვიფიქრე, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მატჩი მშვენიერი პერსპექტივა იყო, მაგრამ ერთი თვის შემდეგ, ყაზახეთში უნდა გვეთამაშა და ეს აღარ მომეწონა. საბოლოოდ, ინგლისის ნაკრების გაწვრთნა გადავიფიქრე და ახლა ვამაყობ.

„დინამო“ რუმინეთში გაემგზავრა

დღეს, თბილისის „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩს ბუქარესტში „სტიაუას“ წინააღმდეგ გამართავს. ბუქარესტში გამგზავრებამდე, „დინამო თბილისის“ ფან-კლუბის წევრები, „გლადიატორები“ გუნდის ვარჯიშს დაესწრნენ და მეტად პრინციპული შეხვედრის წინ ფეხბურთელები გაამხნევეს.

დღეს დილით კი, დინამოელთა მთავარი მწვრთნელის, დუშან უჭრინის გადაწყვეტილებით, რუმინეთში შემდეგი 18 ფეხბურთელი გაემგზავრა:

მეკარეები: გიორგი ლორია, თორნიკე ზარქუა;

მცველები: გივი კვარაცხელია, უსტარიცი, გიორგი სეთურიძე, დავით კვირკველია, დავით ხურცილავა, გიორგი გველესიანი, დარკო გლიშიჩი;

ნახევარმცველები: ლევან ხმალაძე, გიორგი პაპავა, ელგუჯა გრიგალაშვილი, ჩისკო, გიორგი მერებაშვილი;

თავდამსხმელები: ჯაბა დვალი, დორინ გოგა, ვუო, დავით ხოჭოლავა.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიგა

ბარნლი-ბოლტონი 1:1
ბარნსლი-უიგანი 0:4
ბირმინგემი-უოტფორდი 0:1
ბორნმუთი-ჩარლტონი 2:1
დონკასტერი-ბლექპული 1:3
ქპრ-უენსდი 2:1
ლიდსი-ბრაიტონი 2:1
მიდლსბრო-ლესტერი 1:2
მილუოლი-იოვილი 0:1
ნოტინგემი-ჰადერსფილსი 1:0
რედინგი-იფსვიჩი 2:1

საფრანგეთი. სუპერთასი

პსჟ-ბორდო 2:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ნანსი-ოსერი 0:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

დენ ჰააგი-პსვ 2:3
ნაიმეგენი-გრონინგენი 1:4
ტვენტე-ვალვაიკი 0:0
ჰერენვენი-ალკმაარი 4:2

ხუთეთი. ჩემპიონიგა

ვოლგა-ზენიტი 1:3
ტომი-ურალი 1:2
დინამო-ტერეკი 1:0
რუბინი-ცსკა 0:0

სატურნირო ცხრილი:

1.როსტოვი	4	3	1	0	8-3	10
2.სპარტაკი	3	3	0	0	8-2	9
3.ცსკა	4	2	2	0	6-4	8
4.ზენიტი	4	2	1	1	6-5	7
5.დინამო	4	2	1	1	6-7	7
6.რუბინი	4	1	3	0	3-2	6
7.ყუბანი	3	1	2	0	4-3	5
8.ამკარი	3	1	1	1	4-3	4
9.ლოკომოტივი	3	1	1	1	5-5	4
10.კრასნოდარი	3	1	1	1	5-5	4
11.ვოლგა	4	1	1	2	6-7	4
12.ურალი	4	1	1	2	5-7	4
13.ანჟი	4	0	2	2	4-6	2
14.ტერეკი	4	0	2	2	2-4	2
15.კრ.სოვეტოვი	3	0	1	2	3-5	1
16.ტომი	4	0	0	4	2-9	0

მოტლანდია. ჩემპიონიგა

აბერდინი-კილმანროკი 2:1
ინვერნესი-სტ.მირენი 3:0
სელტიკი-როსი 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ნოიშტადი-ვოლფსბურგერი 2:1
აუსტრია-რიდი 3:3
ინსბრუკი-ზალცბურგი 1:1
გროდიგი-ადმირა 7:1

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-გრასჰოპერსი 0:0
სტ.გალენი-ბაზელი 1:1

ბელგია. ჩემპიონიგა

ლეუვენი-გენკი 1:4
ვარეგემი-კორტრაიკი 1:0
ლოკერენი-მონსი 2:1
შარლერუა-ბევერენი 1:1

ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

პლზენი-ბანიკი 4:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

ვიძევი-კორონა 2:1
ლეგია-პოდბესკიჟიე 4:0
ლეგიას მე-4 გოლი
ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა

უკრაინა. ჩემპიონიგა

ჰოვერლა-მეტალურგი(ზ) 1:1
არსენალი-ვორსკლა 1:1
ზორია-მეტალისტი 2:2
ვოლინი-დნიპრო 1:3
სევასტოპოლი-ტავრია 1:0

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-ნორდსიელანდი 2:1

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-ელფსბორგი 2:1
კალმარი-სირიანსკა 1:0
ესტერი-ბრომაპოიკარნა 0:0

ნორვეგია. ტიპეღიგა

მიოლდე-ბრანი 2:0
სტარტი-ოდ გრელანდი 0:1
ვიკინგი-ლილესტრიომი 2:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

როვანიემი-იარო 0:0

აშშ. მლს

კანზასი-ნიუ იორკი 2:3
დ.ს.იუნაიტედი-მონრეალი 3:1
ფილადელფია-ჩიკაგო 1:2
კოლორადო-სოლტ ლეიკი 2:2
ჰიუსტონი-კოლამბუსი 3:1
სან ხოსე-ჩივასი 2:0
სიეტლი-დალასი 3:0
პორტლენდი-ვანკუვერი 1:1

ბრაზილია. სერია ა

კლუზეირო-კურიტიბა 1:0

არგენტინა. ჩემპიონიგი

ოლ ბოიზი-რაფაელა 1:1
ტიგრე-ველეჟი 1:2
კოლონი-რასინგი 1:1

მოამზადა მისეულ ჟორჟოლიანმა

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და „გეოგრაფიული ატლასი“ მსოფლიო მემკვიდრეობის საერთაშორისო რეესტრშია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რიამ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივს საჩუქრად გადასცა მისი ავტორობით შექმნილი ფილმების კინოფირები.

– საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივს რეჟისორმა, კინოდოკუმენტალისტმა გია ჭუბაბრიამ მისი ავტორობით შექმნილი 15 დოკუმენტური ფილმის კინოფირები საჩუქრად გადასცა. ფილმები გადაღებულია გასული საუკუნის 60-90-იან წლებში, მათ შორის არის „ომალო“, „თეთრი თორღვა“, „თეთრი ზღაპარი“, „იაპონური ჩანახატები“, „ადამიანი ხომალდები“, „რეპორტაჟი ნიდერლანდებიდან“, „ცეცხლში ნაწრთობი“, „ორაგულის ბედი“, „ჩვენ ქურთები ვართ“, „ჩოგოვაძეები“, „ჩუქურთმის საგალობელი“, „ქართველთა ჯვრის მონასტერი“, „ცხინვალი გუშინ, დღეს“, „გზა თავისუფლებისაკენ“. განსაკუთრებით აღსანიშნავია დოკუმენტური ფილმი „ქართველთა ჯვრის მონასტერი“, რომელიც მოგვითხრობს იერუსალიმის ქართველთა მონასტერზე და ასახავს 1980-იანი წლების დასასრულს იქ არსებულ მდგომარეობას. ფილმების უმეტესობა საერთაშორისო კინოფესტივალებზე იყო წარმოდგენილი და მიღებული აქვს მრავალი პრიზი და ჯილდო, – განმარტა ეროვნული არქივის წარმომადგენელმა თეა ქიმერიძემ.

მისივე თქმით, ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის კინოგანყოფილებაში უკვე დაწყებულია ამ ფილმების ტექნიკური ექსპერტიზა და საარქივო დამუშავება:

– უახლოეს დროში დამზადდება მათი ელექტრონული ვერსიები, რაც მკვლევარებს საშუალებას მისცემს, ეროვნული არქივის კინოკოლექციის ახალ შენაძენს გაეცნონ, – ამბობს ეროვნული არქივის წარმომადგენელი.

როდის დაბრუნდება ოპერისა და ბალეტის დასი თეატრში?

ეკა ირემაშვილი

როდის დაბრუნდება ოპერისა და ბალეტის თეატრის დასი კუთვნილ შენობაში? – ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ადმინისტრაციულ ოფისში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ თეატრის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ჟორდანია, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი, მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო, ორკესტრის კონცერტმაისტერი ლელა მჭედლიძე.

როგორც ბრიფინგზე ოპერისა და ბალეტის თეატრის მმართველის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ჟორდანიამ აღნიშნა:

– ოპერისა და ბალეტის თეატრი სათანადო ანაზღაურების მოლოდინშია. თეატრს ფინანსური მხარდაჭრა იმისათვის სჭირდება, რომ მისი საქმიანობა შენარჩუნდეს. მუსიკოსების მიმოსვლის ტენდენცია არსებობს. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა, ჩვენ ყველა გვენანება და გვინდა, რომ მაქსიმალურად კარგი პირობები შევუქმნათ. აი, ამიტომ გვჭირდება სახლმწიფოს მხარდაჭერა. მსახიობების სოციალური პირობების გაუმჯობესება პრიორიტეტული იქნება თეატრის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში, რომლის პრეზენტაცია მომავალ კვირაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართება.

ბრიფინგზე მყოფი ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის განცხადებით:

– მიუხედავად იმისა, რომ თეატრი უკვე 4 წელია რაც უსახლკაროდაა, ის უმოქმედოდ მაინც არ არის. ჩვენი შრომა იმდენად რთულია, რომ არ შეიძლება ის ნებისმიერი ადამიანის შრომას შეადარო. თითქმის არ არსებობენ ბალეტის მოცეკვავეები. იმ შემთხვევაში, თუ მათ კარგ პირობებს შევთავაზებთ, ისინი ჩვენთან დაბრუნდებიან.

როგორც ცნობილია, ინტენსიურად გრძელდება თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობის სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები და 2014 წლის შემოდგომაზე საქართველოს ექნება უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი თეატრი, რომლის აღდგენა ხორციელდება პირადად ბატონ ბიძინა ივანიშვილისა და საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მეოხებით და რაზეც დახარჯულია ათეულობით მილიონი ლარი.

სარემონტო სამუშაოების მიუხედავად, თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი ჩვეული ტემპით განაგრძობს შემოქმედებით საქმიანობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ საგასტროლო გამოსვლებით – ესტონეთში საარემაას საოპერო ფესტივალზე გამართულ ამასწინანდელ ძალზე წარმატებულ გასტროლთან დაკავშირებით საზოგადოება უკვე ინფორმირებულია.

– თეატრის დასი ეწევა მრავალპროფილურ მოღვაწეობას – მართავს საოპერო, საბალეტო სპექტაკლებს და სიმფონიური მუსიკის კონცერტებს, რაშიც ცხადია, უდიდეს დახმარებას, მხარდაჭერას გვიწევს საქართველო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, რომლის ყურადღების ცენტრში მუდამ არის მოქცეული თეატრი. მოგეხსენებათ, ხელოვნების მოღვაწე ყოველი კადრი – მომღერალი, მოცეკვავე, ორკესტრისა თუ გუნდის მუსიკოსი, – ძალიან ძვირფასია, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ამ კადრების შენარჩუნება, რაც შეუძლებელია სათანადო ანაზღაურების, ფინანსური ბაზის გარეშე, – განმარტა გიორგი ჟორდანიამ.

როგორც ბრიფინგზე ითქვა, სწორედ აღნიშნული მიმართულებები, მსახიობების სოციალური პირობების გაუმჯობესება იქნება პრიორიტეტული თეატრის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში, რადგან ვითვალისწინებთ ხელოვნების სფეროს კონკურენტული გარემოს სპეციფიკას.

– ვიმედოვნებთ, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან კიდევ უფრო გაღრმავდება ურთიერთთანამშრომლობა და თეატრის გახსნამდე, რომელიც 2014 წლის შემოდგომაზეა დაგეგმილი და არაერთმნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. ყოველივე აღნიშნულის შედეგად განახლებულ თეატრში საუკეთესო ძალებით დაკომპლექტებული შემოქმედებითი კოლექტივი დაიდებს ბინას, – ითქვა შეხვედრაზე.

გურამ ოდიშარია სვანეთში ჩავიდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ველმა მოადგილემ მარინე მიზანდარმა ესტონეთის კუნძულ საარემაას ღირსშესანიშნავი ადგილები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები დაათვალიერეს. ასევე გაეცნენ ტალინის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატებს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით, 21-28 ივლისს, კუნძულ საარემააზე, „საარემაას ოპერის დღეებში“ სტუმარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობდა.

გურამ ოდიშარიამ მოადგილე ალექსანდრე მარგიშვილი და მინისტრის აპარატის უფროსი ლევან ხარატიშვილი კიევის და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტის, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვრის ვოლოდიმირის მიწვევით კიევში იმყოფებოდნენ. დელეგაცია დაესწრო წმინდა მოციქულთასწორი დიდი თავადის ვლადიმირის მიერ კიევის რუსეთის გაქრისტიანებიდან 1025 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს. სადღესასწაულო პროგრამა მოიცავდა კიევის რუსეთის ნათლისმცემლის წმინდა თავადი ვლადიმირის ძეგლთან პარაკლისის გადახდას, აგრეთვე მოციქულთასწორი ვლადიმირის ხსოვნის დღეს საღმრთო ლიტურგიას კიევ-პეჩორის ლავრაში.

კულტურის სამინისტროს მიერ, რეგიონებში კინოჩვენებების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, პირველ აგვისტოს, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევის კულტურის ცენტრში ახალი კინოთეატრი გაიხსნა. გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი.

კინოთეატრი ახალი ანიმაციური ფილმის ჩვენებით გაიხსნა, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული ანიმაციური ფილმების ფეტივალის „ექო თოფუზის“ ფარგლებში შედგა. კინოჩვენებაზე დასწრება და 10 პრიზიორი ანიმაციური ფილმის უფასოდ ნახვა, მსურველებს ორი დღის მანძილზე შეეძლოთ. ფესტივალ „ექო თოფუზის“ ფარგლებში, ახალი ანიმაციური ფილმი სამი დღის მანძილზე უფასოდ ნახა ადგილობრივ კინოთეატრებში საქართველოს 17 რეგიონის 20.000-ზე მეტმა ბავშვმა.

სამინისტროს მიერ კინოჩვენებებისათვის საჭირო ტექნიკური აპარატურით უკვე აღიჭურვა ფოთის მერიის ფოლკლორის ცენტრი, გორის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლი, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევის კულტურის ცენტრი, ხულოს სახელმწიფო დრამატული თეატრი და მარტვილის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლი.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით სოფელ განძაში სომხური კლასიკური ლიტერატურის წარმომადგენლის პოეტის ვაჰან ტერიანის პოეზიის ტრადიციული დღე აღინიშნა, რომელშიც კულტურის სამინისტროც ჩაერთო. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი და მინისტრის მრჩეველი ქეთევან დუმბაძე. ღონისძიების ფარგლებში გაიხსნა პოეტის სახლ-მუზეუმი და გაიმართა საზეიმო კონცერტი ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით. ღონისძიებაზე მიწვეულნი იყვნენ ქართველი მწერლები და პოეტები, ასევე სომხეთის კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები.

– ვაჰან ტერიანის პოეზიის დღე სოფელ განძაში 1967 წლიდან აღინიშნება. IX საუკუნის კლასიკოსი პოეტი, დაიბადა სოფელ განძაში 1885 წელს გარდაიცვალა 1920 წელს, ნათარგმნი აქვს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი სომხურ ენაზე. მანვე თარგმნა აკაკი წერეთლის, შარლ ბოდლერის, ოსკარ უაილდის და სხვათა ნაწარმოებები. მსგავს ღონისძიებებში კულტურის სამინისტრო ყოველთვის აქტიურად იქნება ჩართული, – განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილემ.

გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გამოფენა „ნუ წავშლით“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მოეწყო. ექსპოზიციაზე წარმოდგენილ იქნა ბოლო წლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე რესტავრაციის შედეგად გადაკეთებული ტაძრების ამსახველი ფოტო მასალა. გამოფენა მოეწყო ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხელოვნებისთვის“ მიერ. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორი ბესიკ მაცაბერიძე.

– ეს პროექტი მიზნად ისახავს ქართულ-აფხაზური კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, კერძოდ, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული 30 არქიტექტურული ძეგლის ფოტო გამოფენის მოწყობას და პარალელურ რეჟიმში, დოკუმენტური ფილმის „ბედიის უბედობა“ პრემიერას, – განმარტა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორმა ბესიკ მაცაბერიძემ.

გამოფენა უკვე გაიმართა ქუთაისის პარლამენტის შენობაში და დაიგეგმა ექპოზიციის მოწყობა ზუგდიდში დადიანების სასახლეში.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, სახვითი ხელოვნების განვითარების 2013 წლის პროგრამის ფარგლებში, 2013 წლის 17 აპრილს გამოაცხადა კონკურსი, „რეგიონებში გამოფენებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების მოწყობაზე“. საუკეთესო პროექტების გამოვლენის მიზნით, მინისტრის საკონსულტაციო საბჭომ 21 პროექტი განიხილა და მათგან რეკომენდაცია რამდენიმეს გაუწია, მათ შორის, ორგანიზაციის „ახალგაზრდები ხელოვნებისათვის“ შემოტანილ პროექტს – „ნუ წავშლით“, – განმარტა ბესიკ მაცაბერიძემ.

სამინისტროს დარბაზში მინისტრის მრჩეველმა ინგა ქარაიამ მუზეუმის დარგში მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან ერთად წარადგინა მოხსენება სამუზეუმოსფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. მოხსენება საქართველოს მუზეუმებში არსებულ პრობლემებს და მათი განვითარების გზებს შეეხებოდა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანამშრომლები ესწრებოდნენ.

გურამ ოდიშარია სამინისტროს ბენეფიციარებთან შეხვედრებსაც განაგრძობს. შემდეგი პროექტი, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება, ქართული ანიმაციის განვითარება და პოპულარიზაციაა. ამ პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ანიმაციური ფილმების ფესტივალის „ექო თოფუზის“ დირექტორს ზურაბ დიასამიძეს შეხვდა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2008 წლიდან ხელს უწყობს საქართველოში ანიმაციური ფილმების განვითარებას და მხარს უჭერს ფესტივალის ჩატარებას. ფესტივალის მასშტაბი ყოველწლიურად იზრდება გეოგრაფიული არეალის და მაყურებელთა რაოდენობის თვალსაზრისით, მაღლდება მაყურებელთა მომსახურების ხარისხიც. კინოჩვენებებზე ბავშვებს აქვთ საშუალება გაეცნონ ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალ „თოფუზი“-ს საკონკურსო პროგრამის საუკეთესო ფილმებს. კინოჩვენებებზე დასწრება უფასოა, რაც ხელმისაწვდომს ხდის პატარა მაყურებლების დასწრებასაც. აღსანიშნავია ისიც, რომ ღონისძიების ორგანიზატორები ადგილზე მართავენ ვორკშოპებს და აზიარებენ მაყურებლებს ანიმაციური ფილმის საიდუმლოებებს. 2013 წელს ფესტივალი „ექო თოფუზი“ გაიხსნა აპრილში და გრძელდება დეკემბრამდე, ფესტივალის ფარგლებში საქართველოს 18 რეგიონში გაიმართება 102 კინოჩვენება, რომელსაც დაესწრება 20.000-ზე მეტი ბავშვი.

ამავე პროექტის ფარგლებში გურამ ოდიშარია შპს „თბილფოტოს“ დირექტორს ბესიკ ხაინდრავას შეხვდა. პროექტი, რომელიც სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა 2013 წლის 1-10 მაისს გამართული ყოველწლიური ფოტოკვირეული „ქოლგა თბილისი ფოტო“-ს დასკვნითი ეტაპია. აღნიშნული ფოტოკვირეულის ფარგლებში მოეწყო რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენა, მოწვეულ იქნენ ევროპელი და ამერიკელი ფოტოგრაფები, რომელთაც ჩაატარეს საგანმანათლებლო შეხვედრები თანამედროვე ფოტოგრაფიით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან. ფოტოკვირეული „ქოლგა თბილისი ფოტო“-ს მიზანია ინტერნაციონალური ფოტოგრაფიის, სხვადასხვა ფოტოგრაფიული პოზიციის, როგორც კლასიკური ასევე თანამედროვე დაკავშირება საქართველოსთან.

სჯანგოხდი

1. აღმოსავლური ტკბილეული; 2. ვაგონის სამოძრაო ძელი; 3. ასო „რ“-ს სახელწოდება; 4. ქალაქი ვიეტნამში; 5. სუბტროპიკული კულტურა; 6. ... არტმანე; 7. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი; 8. გარიჟრაჟი; 9. ...-აბება; 10. მაღალი წიწვოვანი ხე; 11. იგივეა, რაც ოფისი; 12. შექსპირის ტრაგედია; 13. ასტრონომიის მფარველი მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 14. მწვერვალი სამხრეთ ამერიკის ანდებში; 15. რაიმე ადგილის თავდაპირველი მოსახლე; 16. კოლხი მედეას მამა; 17. ნაბიჯი ბალეტში; 18. რომის პაპის გვირგვინი; 19. პიკი ესპანეთში; 20. ცელქი, მოუსვენარი; 21. სასტუმროს მსახური ბიჭი; 22. პირი, რომელიც რომელიმე ქვეყნის, მხარის გაცნობის მიზნით მოგზაურობს; 23. უფლისწული ევროპის რიგ ქვეყნებში; 24. მდინარის თევზი; 25. იგივეა, რაც ავტომობილი; 26. ქამანდი; 27. ძვირფასი ქვა; 28. ხალხურ მოტივებზე შექმნილი ინსტრუმენტული ნაწარმოები; 29. ვარცხნილობის სტილი; 30. ჩვილის საკვები; 31. მოტორი; 32. მთავრობის მეთაური.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. წუმწუმა; 2. შპური; 3. გალენიტი; 4. დიზელი; 5. თაღლითი; 6. გალიერა; 11. ფიალა; 13. ტრუიზმი; 14. პოლიფონია; 15. მარინისტი; 17. ლიმიტი; 18. კლიჩკო; 19. გეტა.

თარაზულად: 7. ჯულეპი; 8. კალიგრაფია; 9; აწყური; 10. წერეთელი; 12. კასტანიეტა; 14. პრიზმა; 16. კლაუზულა; 18. კალაჰარი; 20. ბიეფი; 21. ონი; 22. დიამბეგი; 23. მესა; 24. იაკიტორია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. იმერეთი; 3. ევოლუცია; 4. ასტეროიდი; 5. ჰეკლა; 6. იამოტო; 8. უჯარმა; 11. სტილეტი; 14. ტრუსკავეცი; 15. პეკინესი; 16. ფერეიდანი; 17. როდოსი; 19. ფრეგატი; 21. რისკი; 22. პუარო.

თარაზულად: 1. „ჩინეჩიტა“; 5. ჰასი; 7. ჭყურტი; 9. აერონავტიკა; 10. „მუსკატი“; 12. ატრიუმი; 13. პრისტლი; 16. ფიტარეთი; 17. „რიცი“; 18. ოფურო; 20. პიკადელი; 22. პრესა; 23. ოგინსკი; 24. აირანი; 25. კვიცი.

ბარაკ ობამა 52 წლის გახდა

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა იუბილარია. ობამა 52 წლის გახდა. ჯერჯერობით უცნობია, რა გარემოში აპირებს პრეზიდენტი ამ დღის აღნიშვნას.

დაბადების დღემდე ერთი დღით ადრე ამერიკის პრეზიდენტმა საკუთარ თავს საჩუქარი გაუკეთა. ის 7 საათის განმავლობაში მეგობრებთან ერთად გოლფს თამაშობდა.

ბარაკ ჰუსეინ ობამა აშშ-ის 44-ე პრეზიდენტია 2009 წლის 20 იანვრიდან. ნობელის მშვიდობის პრემიის 2009 წლის ლაურეატი. ყოფილი უმცროსი სენატორი ილინოისიდან და 2008 წლისსაპრეზიდენტო არჩევნებში წამყვანი კანდიდატი დემოკრატთა ნომინაციით. პირველი შავკანიანი პრეზიდენტი აშშ-ის ისტორიაში; ასევე აშშ-ის სენატის ისტორიის განყოფილების თანახმად, ის მეხუთე აფრო-ამერიკელი სენატორია აშშ-ის ისტორიაში, მესამე, რომელიც სახალხოდ აირჩა, და ერთადერთი აფრო-ამერიკელი, რომელიც 2008 წლისთვის მსახურობდა სენატში. მეორე ვადით აირჩიეს2012 წელს.

აქვე გთავაზობთ საინტერესო ფაქტებს ბარაკ ობამას შესახებ:

1. 2006 წელს მან „გრემი“ მოიგო ნომინაციაში „სალაპარაკო ჟანრის საუკეთესო ალბომი“.

2. 2005 წელს ობამამ მეუღლესთან ერთად იყიდა სახლი ჩიკოგოში, რომელშიც 1,5 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა.

3. მეუღლის, მიშელ ობამას თქმით, ბარაკი ძალიან რომანტიკული ადამიანია და ხშირად ჩუქნის მეუღლეს ყვავილებს.

4. ობამას არ უყვარს ნაყინი, იმის გამო, რომ როდესაც მოზარდი იყო „ბასკინ-რობინსში“ მუშაობდა.

5. უყვარს „სქრაბლი“ და პოკერის თამაში.

6. ბარაკის მამა კენიელია. დედას კი ინგლისური, შოტლანდიური, ირლანდიური და გერმანული წარმოშობა აქვს.

7. ახალგაზრდობაში გაუსინჯავს ნარკოტიკები, მარიხუანა და კოკაინი, თუმცა მისი თქმით, იგი ამით საერთოდ არ ამაყობს და ყოველივეს ახალგაზრდობის შეცდომას უწოდებს.

8. ობამა – აშშ-ის პირველი პრეზიდენტია ეიზენჰაუერის დროიდან, რომელიც ეწეოდა. მან მოწევას თავი 2010 წლის მარტში დაანება (ოფიციალურად ამის შესახებ 2011 წელს გახდა ცნობილი).

9. იგი ჰონოლულუში დაიბადა, თუმცა მშობლების გაყრის შემდეგ დედასთან ერთად ინდონეზიაში გადავიდა საცხოვრებლად. იქ პირველად გასინჯა ძაღლის ხორცი, გველები და შემწვარი კალიები.

10. სახლში ყოველ საღამოს ობამა თავის უფროს ქალიშვილს „ჰარი პოტერს“ უკითხავს.

11. ობამას სიმაღლე 187 სმ-ია, მისი მეუღლის კი 180 სმ.

12. კარიბის კუნძულოვანი სახელმწიფოს ხელისუფლებამ ობამას არჩევნებში გამარჯვების შემდეგ თავის ყველაზე მაღალ მთას სახელი გადაარქვეს და ობამას სახელი დაარქვეს.

13. ობამა ცაციაა.

14. ობამას სახელი ერთ-ერთ მცენარეს უწოდეს.

15. ობამამ ინტერვიუს დროს ბუზი ხელით მოკლა სიტყვებით: „მგონი ცუდი არ იყო ხო? მოვაყომარე რა“.

16. ობამა გასართობ შოუებში იღებდა მონაწილეობას.

17. რესპუბლიკელი ქალი მერილინ დევენპორტი თავის კოლეგებს ომანას ფოტოსურათებს უგზავნიდა, რომლებზედაც ობამას მაიმუნის გამოსახულება ჰქონდა.

18. ბარაკ ობამა სენატორი 33 წლის ასაკში გახდა.

19. ათი წლის წინ ობამამ გამოსცა ავტობიოგრაფიული წიგნი „ოცნებები მამაჩემისგან“, რომელშიც პირველად აღიარა, რომ „რთულ პერიოდში ნარკოტიკებს მოიხმარდა“.

20. ბრედ პიტი და ბარაკ ობამა მეათე თაობის ნათესავები არიან.

ირანს ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ირანს უკვე ოფიციალურად ჰყავს ახალი პრეზიდენტი ჰასან როუჰანი. დედაქალაქში გამართულ ცერემონიაზე ქვეყნის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ჰამენეიმ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ირანს ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ირანი ისლამური რესპუბლიკაა, ამიტომ სულიერი ლიდერი აიათოლა უფრო მაღლა დგას ვიდრე ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი და პრეზიდენტი.

ჰასან როუჰანი მართალია უკვე დამტკიცდა პრეზიდენტად, თუმცა სახალხო ინაუგურაცია ჯერ არ გამართულა. ინაუგურაცია პარლამენტში ხვალისთვის არის დაგეგმილი.

ჰასან როუჰანი თავად სასულიერო პირია, თუმცა მან საპრეზიდენტო არჩევნები რეფორმების და საერთაშორისო სანქციების მოხსნის პირობით მოიგო.

64 წლის ჰასან როუჰანი შედარებით ზომიერ პოლიტიკოსად ითვლება. უცხოეთში მას იცნობენ, როგორც 2003-2005 წლების ბირთვულ მოლაპარაკებებში ირანის დელეგაციის ხელმძღვანელს. თუმცა, მის ბიოგრაფიაში არის, ასევე, არაერთი წარმატება აკადემიურსა და სამხედრო სფეროებშიც. გარდა ამისა, როუჰანი გამოცდილი პარლამენტარიც არის. სხვადასხვა დროს მას მაღალი თანამდებობები ეკავა ირანის მთავრობაში.

როუჰანი დაიბადა 1948 წელს, ჩრდილოეთ ირანის სემნანის პროვინციის ქალაქ სორხეში. საარჩევნო კამპანიისას როუჰანი ამბობდა, რომ რელიგიურ და რევოლუციურ ოჯახში გაიზარდა. საკუთარი განათლებისთვის ფულს თვითონ შოულობდა. მისივე თქმით, ამ გამოცდილებამ ის „ფეხზე დააყენა“.

1960 წელს როუჰანი ჩაირიცხა სემნანის სემინარიაში, თუმცა მალევე გადავიდა ყომში, ირანის რელიგიურ ცენტრში. შემდეგ მან დაამთავრა თეირანის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 28 მაისს როუჰანიმ ამომრჩევლებს ტელევიზიით განუცხადა, რომ მაგისტრატურისა და დოქტორანტურის დიპლომი უცხოეთში მიიღო. თუმცა, ირანის რამდენიმე მედიასაშუალებამ (ძირითადად, საინტერნეტო გამოცემებმა) ეჭვქვეშ დააყენა როუჰანის ადრინდელი განცხადებები, რომ ის გლაზგოს უნივერსიტეტში სწავლობდა.

ირანის 1979 წლის რევოლუციის შემდეგ როჰანი ირანის პარლამენტში მოხვდა და იქ ზედიზედ ხუთი ვადით იმუშავა 2000 წლამდე; იყო პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, თავდაცვის კომიტეტისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე.

1980-იან წლებში, ირან-ერაყის ომის დროს, როუჰანი რეგიონულ სამმართველო შტაბსა და საჰაერო თავდაცვას ხელმძღვანელობდა. ომის დასრულების შემდეგ ის ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივანი გახდა. წლევანდელი საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში როუჰანი ხაზს უსვამდა თავის ახლო კავშირს ირანის უზენაეს ლიდერებთან, აიათოლა რუჰოლა ჰომეინისა და აიათოლა ალი ჰამენეისთან.

ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭოს მდივნად მუშაობისას, 1989-2005 წლებში, როუჰანი ასევე დაუახლოვდა პრეზიდენტებს აქბარ ჰაშემი რაფსანჯანისა და მოჰამედ ხათამის.

2003 წელს როუჰანი სათავეში ჩაუდგა ირანის დელეგაციას ამ ქვეყნის ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებებში. ამ პოსტზე მან იმუშავა 2005 წლამდე, პრეზიდენტად მაჰმუდ აჰმადინეჯადის არჩევამდე. აჰმადინეჯადისა და ბირთვულ მოლაპარაკებებში ირანის ამჟამინდელი წარმომადგენლის, საიდ ჯალილის არჩეული კურსი საპრეზიდენტო დებატების დროს გაცხარებული კამათის მიზეზი შეიქნა. სხვათა შორის, საიდ ჯალილი თავადაც იყრიდა კენჭს და პრეზიდენტის პოსტისთვის ჭიდილში როუჰანის კონკურენტი იყო.

როუჰანი დაუფარავად აკრიტიკებდა ჯალილის დასავლეთთან უკომპრომისო მიდგომისთვის, რასაც მოჰყვა კიდეც ირანის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციები. როცა ბირთვულ მოლაპარაკებებს როუჰანი ხელმძღვანელობდა, მან ევროპელ დიპლომატებს ურანის გამდიდრებისა და ცენტრიფუგების მშენებლობის შეჩერებაც შესთავაზა კეთილი ნების ნიშნად და დასავლეთთან უფრო ღრმა თანამშრომლობისთვის საფუძვლის ჩასაყრელად. თუმცა, ირანში როუჰანის კრიტიკოსებმა ეს მოქმედება უკანდახევად მიიჩნიეს.

თავისი საარჩევნო კამპანიის სიმბოლოდ როუჰანიმ გასაღები აირჩია. მისი თქმით, ეს სიმბოლო „პირდაპირ ასახავს შექმნილ სიტუაციას, რომელიც ჩაკეტილია და რომელსაც გააზრებული და იმედისმომცემი მთავრობა სჭირდება.“

როუჰანი მხარს უჭერს საგარეო ურთიერთობების გაუმჯობესებას და ირანის ეკონომიკური კრიზისის გადასაჭრელად აპირებს ქვეყნის დიდძალი მატერიალური და ფიზიკური რესურსების გამოყენებას. შექმნილ კრიზისს ის აბრალებს „ერთპიროვნულ, შეუთანხმებელ გადაწყვეტილებებს“. პრობლემების გადაჭრას ის ხედავს ტურიზმის განვითარებასა და წარმოებაში კერძო სექტორის უფრო აქტიურად ჩართვაში.

ამასთანავე, როუჰანი მხარს უჭერს გამოხატვის თავისუფლების უფრო მაღალ ხარისხს. ამომრჩევლებს ის პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებასაც დაპირდა.

უკანასკნელი საარჩევნო მიმართვისას როუჰანიმ აღნიშნა, რომ საკუთარი კარიერის მთავარ მიღწევებად მიაჩნია სპარსეთის ყურის ომში ირანის ჩაურევლობა, საუდის არაბეთთან უსაფრთხოების საკითხზე ხელშეკრულების დადება და შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმების შემდეგ ირანის გონივრული პოზიცია.

სამგლოვიარო განცხადებები

მამა იგორი, ძმა გიორგი, შვილი ნანა, დეიდა ლიანა ჩხაიძე, ბიძა აკაკი ჩხაიძე, დეიდაშვილები გიორგი და მარიანა ჩხაიძეები, მამიდა ირინა ტერეშენკო, მამიდაშვილი ელენე, ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით (დევიკო) კაჭარავა

პანაშვიდი: 4,5 აგვისტოს, 17 საათზე.
გასვენება: სახლიდან 6 აგვისტოს, 15 საათზე.
მისამართი: წერეთლის გამზირი 67, ბინა 16.

შვილები ელდარ, გიორგი, თენგიზ დარბაიძეები, რძლები მერი მაჭარაშვილი, რუსიკო თარხნიშვილი, გულიკო ბალაძე, შვილიშვილები ნინო, ნანა, შორენა, სოფიკო, პაატა, გიორგი (გიგა) დარბაიძეები, მაზლისცოლი ელენე კაპანაძე-დარბაიძისა, სიძეები მალხაზ მესხი, ალიკა ტოგონიძე, მანუჩარ ცერცვაძე, შვილთაშვილები ელენე ცერცვაძე, ნათათო და თათული ტოგონიძეები, ლუკა და ანა მესხები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იულია ბურძენიძე-დარბაიძისა

დაკრძალვა: საჩხერის რაიონი, სოფელი შომახეთი (კორბოულის თემი). გამოსვენება: სამშაბათს, 6 აგვისტოს, 15 საათზე.

„ახალი თაობის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს გულიკო ბალაძეს დედამთილის

იულია ბურძენიძე-დარბაიძის

გარდაცვალების გამო.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

სირიის ოპოზიციამ იარაღის საწყობი ჩაიგდო ხელში

სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებმა დამასკოსთან ახლოს მდებარე იარაღის საწყობი ჩაიგდეს ხელში. ინფორმაციას ამის შესახებ ლონდონში მდებარე „სირიის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი“ ავრცელებს.

ცენტრის ინფორმაციით, იარაღის საწყობზე თავდასხმა რადიკალურმა ექსტრემისტებმა განახორციელეს.

საწყობში, გარდა სხვა მრავალი იარაღისა ასევე დაცულია ტანკსაწინააღმდეგო იარაღიც და „ჰაერი-ჰაერის“ კლასის რაკეტები.

ასევე, სულ მცირე 40 ადამიანი დაიღუპა და 120 მდე დაიჭრა სირიის ქალაქ ჰომსში მომხდარი აფეთქების შედეგად. აფეთქება საბრძოლო იარაღის საწყობში მოხდა. საწყობი ბაშარ ასადის დაქვემდებარებულ სამთავრონბო ჯარს ეკუთვნოდა.

თავდაპირველად გავრცელდა ინფორმაცია აფეთქების შედეგად გარდაცვლილი 22 ადამიანის შესახებ, თუმცა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ დაღუპულთა რაოდენობა 40 აღწევს.

სავარაუდოდ აფეთქება სამთავრობო ძალების კუთვნილ საწყობში ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოაწყვეს, რომლებიც თავიანთი ძირითადი საყრდენის ქალაქ ჰომსის მიდამოებში პოზიციებს კარგავენ.

აშშ: „ეგვიპტის არმიამ ქვეყანაში დემოკრატია აღადგინა“

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ეგვიპტის არმიამ, პრეზიდენტ მურსის ხელისუფლებიდან ჩამოცილებით ქვეყანაში დემოკრატია აღადგინა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

კერიმ ასევე აღნიშნა, რომ პრეზიდენტ მურსის ხელისუფლებისგან ჩამოცილება მილიონობით ეგვიპტელის ნება იყო.

აღსანიშნავია, რომ ადრე ვაშინგტონმა უნარი განაცხადა პრეზიდენტ მურსის ხელისუფლებიდან ჩამოცილებისათვის სამხედრო გადატრიალება ეწოდებინა.

„სი-ენ-ენის“ ინფორმაციით კი, ეგვიპტის პრეზიდენტ მოჰამედ მურსის მხარდამჭერები 33 სხვადასხვა მეჩეთიდან მილიონიანი მსვლელობის მოწყობას გეგმავენ.

„გადატრიალების წინააღმდეგ დემოკრატიული ალიანსის“ განცხადებაში საუბარია, რომ „ყველა ქვეყნის ყველა თავისუფალმა ადამიანმა მხარი დაუჭიროს მათ მსვლელობას“.

ხუთშაბათს ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა მურსის მხარდამჭერებს კაიროს ორი უმსხვილესი მოედნის დატოვებისაკენ მოუწოდა.

შეგახსენებთ, რომ მოქმედი პრეზიდენტი მოჰამედ მურსი მრავალმილიონიანი საპროტესტო აქციების ფონზე არმიამ 3 ივლისს გადააყენა, რის შემდეგაც ქვეყანაში მურსის მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება. რამდენიმე დღის წინ უსაფრთხოების ძალებმა მურსის 70 მხარდამჭერი მოკლეს.

მოამზადა ეერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 5 აგვისტო

08.00 დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა"

09.10 საბ. ან/ფ "ლაურას ვარსკვლავი და დრაკონი ნიანი" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ **"დედა"** **15.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა"** **17.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **18.00** დ/ფ "ძვლების მკვლევარები" **19.05** ტ/სერ. **"შაბდა ემი"** **21.00** ტ/სერ. **"ნიკიტა"** **22.00** მხ/ფ **"და ყველაფერი განათდა"** **00.00** მხ/ფ **"გოგონა ნყლიდან"**

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "მეხიკო" **09.00** მხ/ფ **"შუსიკა და ლირიკა"** **10.30** "მსოფლიო ოდისეები" – "დიდებული დუნაი" **11.00** მხ/ფ **"ყველანი ცხოვში"** **13.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **3** ნაწ. **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **4** ნაწ. **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" – "სამართლიანი საქართველოსთვის" (პ/ე) **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

08.00 ან/ფ "სპანჯბობი" **1-2** სერ. **09.00** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **10.00** სერ. **"დაუვიწყარი"** **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. **"ციკი გული"** **3** სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** ფულთან თამაში (გ/ჩ) **16.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **17.50** სერ. **"მაანგეები"**. **18.50** სერ. **"აკრძალული სიყვარული** **21.00** სერ. **"დაბრუნება"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** (გ/ჩ) **23.00** ქ.სერ. **"ცხელი ქალი– 4"** **3** სერ. **00.15** მხ/ფ. **"ვინდა გახსოვდე"** (ე. დე რეივინი)

08.00, 03.00 კურიერი დაიჯესტი **08.30** ანიმაცია "Open Season" **10.00** სერ. **"სიყვარული მუზეინერია"** **11.00** სერ. **"ცრემლების გვირგვინი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** ქართ. მხ/ფ **"ბაუბაჩუკი"** **14.00** სერ **"ერთგულების ქალა"** **15.30** შერეკილები. **17.00** სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** **18.50** სერ. **"ტიტების დრო"** **22.00** სერ. **"ნემი ცოლის დაქალები"** **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **00.30** შიშის ფაქტორი **01.30** მხ/ფ

06.00, 08.55 , 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00 , 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **06.50** მხ/ფ **"ოჯროს ციკე-ცხელება"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ქრისტიანული სწავლება **08.45** ერთი წვეთი **09.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **09.10** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10, 18.55, 21.55, 23.50, 00.30** ისტორიის დღიური **10.15, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"ვედრება"** **13.10** ერთი წვეთი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** გუთნისდედა **15.30** სპექტაკლი - **"ეს არ უნდა მომხდარიყო"** **16.30** კონცერტი -ნოჭიეთა ათწლედი რომში **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.15** ჩვენი ფონდი **19.35** მხ/ფ **"ჟუჟუნას მზითევი"** **20.40** ძილი ნებისა **21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.25** ჩვენი ფონდი **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ოვალური ბურთი" **00.30**მხ/ფ **"20 ათასი ლიე წყალქვეშ"** I ნაწ. **02.00** ირაო

მაესტრო **7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **9.30, 2.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** მაღვიძარა(სიუჟეტების კოლაჟი) **11.00, 15.40, 17.30, 1.15, 3.30, 6.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40** თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ.) **14.40, 4.30** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **16.00 სერიალი "შტორმი"** **19.00 სერიალი "1001 ღამე"** **22.20** "კინო მაესტროზე" **0.30, 5.30** ღია კარის დღე

tv 9 **8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00** ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05** BBC სერიალი დიდი იმედები **3** გამ **12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** სტერეოტიპი გამ **16.10** მატრიცა **17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **20.00** სერიალი-ტკბილი შხამი **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **0.20** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6648	ევრო — 2,1990
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5228	100 რუსული რუბლი — 5,0299

ამინდის პროგნოზი 5 აგვისტოსთვის

აშშ ამერიკელ ტურისტებს მოუწოდებს, მოგზაურობაზე უარი თქვან

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ამერიკელ ტურისტებს მოუწოდებს, უარი თქვან მოგზაურობაზე „ალ-ქაიდას“ ტერორისტული აქტების მუქარის გამო. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ „ალ-ქაიდას“ პოტენციური სამიზნე ძირითადად შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა იქნებიან.

„არსებული ინფორმაციით, ალ ქაიდა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები განაგრძობენ ტერორისტული აქტების დაგეგმვას რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ. ისინი თავდასხმებს ამ პერიოდში და აგვისტოს ბოლოსკენ გეგმავენ“, – ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, თავდასხმის ობიექტები ტურისტული ცენტრები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი იქნება.

ამასთან დაკავშირებით, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ბრძანება გასცა, „გატარდეს ყველა საჭირო“ ზომა ამერიკელთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

გავრცელებული ინფორმაციით, მიმდინარე კვირას აშშ-ის სპეცსამსახურებმა ხელთ იგდეს „ალ ქაიდას“ ლიდერების საუბრის ჩანაწერი, სადაც ისინი აშშ-ის ინტერესებისთვის ზიანის მიყენების მიზნით თავდასხმებს გეგმავდნენ.

რამდენიმე დღის წინ თეთრ სახლში ასევე განაცხადეს, რომ ამასთან დაკავშირებით, აშშ 20-ზე მეტ დიპლომატიურ მისიას დახურავს რამდენიმე დღით.

„ალ ქაიდას“ მიერ გაკეთებული მუქარის შემდეგ, ევროპელმა სამართალდამცავებმა წარმატებით შეძლეს რამდენიმე ტერაქტის აღკვეთა და ეჭვმიტანილთა დაკავება, მაგრამ ისინი უფრო დიდი საფრთხის მოლოდინში არიან.

დიდმა ბრიტანეთმა რისკის ინდექსი „ჩვეულებრივიდან“ „მაღალზე“ ასწია.

გ. მ.

პატრიარქს ანგელოზის დღე მიულოცეს

ეკა ირემაშვილი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს მრევლმა ანგელოზის დღე მიულოცა. საპატრიარქოში სპეციალური მიღება გაიმართა, რომელსაც პოლიტიკოსები, მომღერლები, ცნობილი სახეები და რიგითი მოქალაქეებიც ესწრებოდნენ. პატრიარქის ანგელოზის დღის აღსანიშნავად, სტუმრებმა სიმღერები შეასრულეს და ლექსები წაიკითხეს. უწმინდემა საპატრიარქოში მისული ყველა სტუმარი დალოცა და მადლობა გადაუხადა. როგორც მან აღნიშნა, სპეციალურად ამ დღესთან დაკავშირებით გააკეთეს სალოცავი ოთახი, სადაც დღე-ღამის ლოცვა შესრულდება:

– ლოცვებს მრევლი და სასულიერო პირობები აღავლენენ, რაც სიძულვილს სიყვარულით შეცვლის. დედები, მამები და ერის ადამიანები დამეხმარებიან ლოცვაში. ეს ყველაფერი კი სიძულვილს სიყვარულით შეცვლის.

პატრიარქის ანგელოზის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქოს ხალხური რეწვის განყოფილების ორგანიზებით, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიხსნა პატრიარქის ანგელოზის – წმიდა ილია წინასწარმეტყველისა და წმიდა ილია მართლის – ხსენების დღისადმი მიძღვნილი გამოფენა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილ იქნა ქართველი მეფეების ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის სამეფო სრული შესამოსელი, მეფეთა სარკოფაგების გადასაფარებლები, ქართული აბრეშუმის ბალიშები და თეთრეული, ოქრომკედით ნაქარგობა, საერო და საეკლესიო დანიშნულების ნივთები, ხევსურული ნაქარგობა, სხვადასხვა შესამოსელი და აქსესუარები, ქართული თექა და ბატიკა, ხელნაკეთი თოჯინები, ხატები, თანამედროვე ოსტატების მიერ შესრულებული ხეზე ჭრილა და ქვაზე კვეთის ნიმუშები. გამოფენას უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ც დაესწრო.

ამავე დარბაზში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა შეხვედრა საზოგადოების წარმომადგენლებთან. შეხვედრა 17 მაისის აქციის დარბევასთან დაკავშირებულ და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა.

მისმა უწმინდესობამ სოფლის მეურნეობით დაინტერესებულ ახალგაზრდებს საპატრიარქოს ირგვლივ გაერთიანებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, საპატრიარქოსთან უნდა ჩამოყალიბდეს ახალგაზრდული ცენტრი სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის:

– ამაზე ფიქრობს ხელისუფლებაც და ეს ცენტრი იქნება დამხმარე ქართული საზოგადოებისთვის. ახალგაზრდები, ვინც დაინტერესებულია სოფლის მეურნეობით, შეიკრიბეთ. მე ცოტა ხანში დავბრუნდები უცოხოეთიდან, შეგხვდებით და განვიხილავთ თქვენს წინადადებებს. ძალიან გთხოვთ, ილოცეთ ჩემთვის, – მიმართა პატრიარქმა საზოგადოებას.

უწმინდესმა დღევანდელი ქადაგებისას ადამიანის როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ადამიანი არის ხატება ღვთისა და ღვთის ქმნილების გვირგვინი:

– ხშირად ვფიქრობთ ადამიანის შესახებ და ვერ ვხსნით იმას, ვინ არის ადამიანი. ამიტომ ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ცნებები ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. ადამიანი ძლიერია თავისი სულიერი სამყაროთი, მაგრამ ამავე დროს ძალიან უძლურია. ადამიანი შეიძლება ავიდეს ღმერთამდე და შეიძლება დაეცეს ჯოჯოხეთამდე, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ ადამიანს და ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ. ადამიანის გაძლიერების უპირველესი საშუალება ღვთის მადლი და სულიწმიდის მადლია, რომელიც არის უძლურთა მკურნალი და ნაკლოვანთა აღმავსებელი. თუმცა ასევე არსებობს ბუნებრივი საშუალებები ადამიანის გასაძლიერებლად – ჩვენი მიწა, ბუნება, სამყარო, მცენარეები, ხეები. ძველად, ხალხი, როდესაც დაიღლებოდა, დაჯდებოდა მუხასთან, მიეყრდნობოდა ბეჭებით და უარყოფით ძალას მუხა იღებდა თავის თავზე.

ქადაგების დასასრულს პატრიარქმა რამდენიმე სასულიერო პირი, მათ შორის

მისი უწმინდესობა 4 აგვისტოს გერმანიაში გაემგზავრა. ილია მეორე ბერლინში რეაბილიტაციის კურსს გაივლის და ორ კვირაში სამშობლოში დაბრუნდება.

ასტროპროგნოზი 5 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **კირჩხიბი** – სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი. **ლომი** – ახალ ცხოვრებას იწყებთ, გიხარიათ. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, საქმეს ისედაც მიიყვანთ ბოლომდე. **სასწორი** – იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე კარგად მიდის. **მშვილდოსანი** – ფულის პრობლემა სწრაფად მოგვარდება. **თხის რქა** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **მერწყული** – იფიქრეთ და სიტუაციიდან გამოსავალს იპოვით. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი

თარაზულად: 6. შინაური ფრინველი; 7. მოუჭიქავი ფაიფური; 8. ზანდუკი; 10. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 11. სახელმწიფო აზიაში; 13. ფეხსახსროვანი ცხოველების მუცელი; 16. მოსკოვის სიმბოლო; 19. აქტებშორისი შესვენება თეატრში; 20. მექანიკის ნაწილი.

შვეულად: 1. ქედი და ხეობა ახმეტის რაიონში; 2. სიყვარულის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 3. პირადული ხასიათის შემტევი გესლიანი სიტყვა; 4. ზღვის მტაცებელი ცხოველი; 5. წყლის ჭავლი, გემი რომ ტოვებს; 9. ყველასათვის სავალდებულო წესი; 12. მთავარი სისხლძარღვი; 14. გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი (XIX ს.); 15. უუფლებო ადამიანი; 17. წნელის ბრტყელი წნული; 18. სულხან-... ორბელიანი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



დათო ტურაშვილი აზერბაიჯანში პერსონა ნონ გრატაა

ეკა ირემაშვილი

მწერალი დათო ტურაშვილი აზერბაიჯანში პერსონა ნონ გრატად გამოცხადდა. მასთან ერთად ამ ჩამონათვალში შევიდა 15-მდე ქართველი, მათ შორის მწერლის კოლეგა ბესო ხვედელიძე და საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი.

როგორც აზერბაიჯანული საინფორმაციო საიტი „ნიუს.აზ“-ი იტყობინება, აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ „პერსონა ნონ გრატად“ 335 პირი დაასახელა.

ამის მიზეზი აზერბაიჯანის ნებართვის გარეშე ოკუპირებულ ტერიტორიაზე – მთიან ყარაბახში ჩასვლა გახდა. გარდა ამისა, ჩვენმა მეზობელმა ქვეყანამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პერსონა ნონ გრატად გამოცხადებულ პიროვნებებს ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალოთ.

ამ სიაში მოხვდნენ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, მიზეზი შავ სიაში შეყვანისა „აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის“ დარღვევა, მისი სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვაა.

აზერბაიჯანული საინფორმაციო საგენტოს ცნობით, პერსონა ნონ გრატას სიაში შეყვანილი არიან სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის ყოფილი წარმომადგენელი პიტერ სემნები, ბრიტანეთის ღორდთა პალატის წევრი ბარონესა ქეროლაინ კოქსი, რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრი მაქსიმ მიშენკო, იტალიელი მომღერალი ალ ბანო, მომღერალ ფილიპ კირკოროვის მამა ბედროს კირკოროვი, ოპერის ცნობილი მომღერალი მონსერატ კაბალიე.

როგორც მწერალმა დათო ტურაშვილმა ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის აზერბაიჯანული მხარის ეს გადაწყვეტილება სრულიად გაუგებარია, რადგან ის მთიან ყარაბახში დაახლოებით 3 წლის იმყოფებოდა უცხოელ კოლეგებთან ერთად და ახორციელებდა სპეციალურ პროექტს კავკასიელი მწერლებისთვის. სწორედ ამ პერიოდში იმყოფებოდა მასთან ერთად ბესო ხვედელიძეც. 3 წლის შემდეგ ამ ამბით დაინტერესება და ქართველი მწერლების პერსონა ნონ გრატად გამოცხადება დათო ტურაშვილისთვის გაუგებარია.

საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი მაყვალა გონაშვილი ამ სიაში აზერბაიჯანმა გასული წლის ბოლოს შეიყვანა. მიზეზი ამჯერადაც იგივეა – აზერბაიჯანული მხარის გაღიზიანება მაყვალა გონაშვილის მთიან ყარაბაღში ჩასვლა გახდა. როგორც მაყვალა გონაშვილმა განმარტა, იგი ახალგაზრდა მწერლების მიერ ორგანიზებულ პოეზიის საღამოზე სპეციალური მიწვევით იმყოფებოდა:

– ეს არ იყო პოლიტიკური შეხვედრა. კარგად მესმის, როგორი დაძაბულობაა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის და მე ამ მიწვევას დავთანხმდი მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო პოეზიის საღამო. ამ ფაქტს აზერბაიჯანის მხრიდან მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ჩემთვის აზერბაიჯანში ჩაუსვლელობა მძიმე იქნება, მაგრამ გაცილებით შემაწუხებს ის ფაქტი, თუ ამას ჩემი მეგობრები ვერ გაიგებენ, – განმარტა მაყვალა გონაშვილმა.

მას საგარეო საქმეთა სამინისტროდან დაუკავშირდნენ და აზერბაიჯანში გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩასვლისგან თავის შეკავება ურჩიეს.

სალომე მელია ევროპის ვერცხლის პრიზიორია

პირველად ქართული ქალთა ჭადრაკის ისტორიაში სალომე მელიამ ევროპული ვერცხლი მოიპოვა, ამასთან, საკმაოდ სოლიდურ კამპანიაში.

ბელგრადში დასრულებულ ევროპის ქალთა რიგით მე-14 ჩემპიონატი წარმატებული აღმოჩნდა ბათუმელი მოჭადრაკისთვის, სალომემ 11-დან 8 ქულით ბელა ხოტენაშვილთან 2-7 ადგილები გაინაწილა და დამატებითი მაჩვენებლის მედალი მსოფლიოს ქალთა ჩემპიონატის საგზურთან ერთად მოიპოვა. ხოლო, ჩემპიონის ტიტული უნგრეთის სახელით მოასპარეზე ვიეტნამელმა ჰოანგ ტრანგმა დაისაკუთრა.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ქალების საუკეთესო შედეგი ევროპის ინდივიდუალურ ჩემპიონატზე ქეთევან არახამიას ბრინჯაო გახლდათ.

ხოტენაშვილი ასევე დამატებითი მაჩვენებლით მე-6 ადგილზე გავიდა. მათ გარდა მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მე-9 ადგილზე გასულმა მერი არაბიძემ და მე-17 ადგილოსანმა ლელა ჯავახიშვილმაც დაიჯავშნეს.

მ. ჟ.